პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 240 (9708) | შაბათი, 10 ოქტომბერი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

საბჭოთა საქართველოს დღე (1-ლი გვერდი).

ჩვენს დიად სამშობლოში (1-ლი გვერდი).

ახალი წარმატებებისათვის, ამხანაგო მექანიზატორებო! ა. ბარბაქაძე. — მტს-ი და მისი ადამიანები. ი. მაცაბერიძე. — მექანიზატორთა საქმე. ვ. თორდუა. — დაბრუნება. კეთილი იყოს თქვენი მოსვლა! (მე-2 გვერდი).

სადღეისო თემაზე. — სოფლის ამბულატორია (მე-3 გვერდი).

მ. ქართველიშვილი. — ლამაზად შეკერილი, მოდური ტანსაცმელი — მომხმარებელს (მე-3 გვერდი).

გ. გობეჯიშვილი. — არქეოლოგიური ძიება ონისა და ამბროლაურის რაიონებში (მე-3 გვერდი).

ლ. ველიჩანსკი. — თურქეთის [illegible] მდგომარეობა (მე-3 გვერდი).

გაერთიანებული ერების [illegible] ასამბლეის მე-8 სესია (მე-4 გვერდი).

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრის ჯოუ ენ-ლაის განცხადება (მე-4 გვერდი).

კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება (მე-4 გვერდი).

საბჭოთა პატრიოტიზმის ცხოველმყოფელი ძალა

საბჭოთა პატრიოტიზმი სოციალისტური საზოგადოების მძლავრი მამოძრავებელი ძალაა. იგი აღაფრთოვანებს თვითეულ საბჭოთა მოქალაქეს ყოველდღიური შრომითი წინსვლისათვის, ახლის ძიებისათვის. ჩვენში ყოველი ადამიანი ცდილობს მთელი მისი შემოქმედებითი შესაძლებლობა მოახმაროს საერთო სახალხო საქმეს. საბჭოთა ადამიანების ასეთი მისწრაფება განპირობებულია იმ მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ფაქტით, რომ ჩვენში ხალხი თვითონ არის ქვეყნის პატრონი, თვითონ მართავს სახელმწიფოს, თვითონ განაგებს თავის ბედს.

ჩვენს სამშობლოში, სადაც აღარ არიან ექსპლოატატორული კლასები, მეგობრულად განწყობილი მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა და საბჭოთა ინტელიგენცია ცდილობენ, რათა შეიქმნას რაც შეიძლება მეტი დოვლათი და მაქსიმალურად იქნას დაკმაყოფილებული მთელი საზოგადოების მუდმივად მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილება.

სოციალისტურ საზოგადოებას ახასიათებს ის, რომ ადამიანის პირადი და საზოგადოებრივი ინტერესები სწორად არის შეხამებული, რაც ახალი შრომითი აღმავლობის მძლავრ სტიმულს იძლევა. კომუნისტური პარტიის პოლიტიკა, რომელიც მშრომელთა ინტერესების შესაბამისი პოლიტიკაა, განუწყვეტლივ აღაფრთოვანებს ხალხთა მასებს კომუნიზმის მშენებლობისათვის და მშრომელთა პატრიოტული მოძრაობის უშრეტ წყაროს წარმოადგენს.

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებამ „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ დიდი პროგრამა დაუსახა საბჭოთა ხალხს და გამოიწვია მასში ახალი პატრიოტული მოძრაობა. კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშაკები დიდი ენთუზიაზმით შეუდგნენ პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებას. სამრეწველო საწარმოების მუშაკები მხურვალედ გამოეხმაურნენ ჩვენი პარტიის მოწოდებას. უკვე პრაქტიკულად ხორციელდება სოფლისადმი ქალაქის დახმარების შესანიშნავი ღონისძიებანი. საწარმოები გადიდებული რაოდენობით აწვდიან სოფლის მეურნეობას სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანებს, იაფ საშენ მასალებს, ეხმარებიან მექანიზატორთა და სხვადასხვა პროფესიის სპეციალისტთა კადრებით. მთელი ჩვენი ქვეყნის ზემდგომი და ძირეული ადმინისტრაციულ-სამეურნეო აპარატებიდან, საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან ხალისით მიდიან სოფლად სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, ისინი სისხლხორცეულად არიან დაინტერესებულნი იმით, რომ უზრუნველყონ სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარება, აყვავება.

სოფლად მიმავალი საბჭოთა ადამიანები, შეიარაღებულნი სოციალისტური შეგნებით, აღსავსენი არიან კომუნიზმის მშენებლობის ენთუზიაზმით, სულდგმულობენ საბჭოთა პატრიოტიზმით. ამ ახალი დიდი მოძრაობის მონაწილეთა მაღალ შეგნებას გამოხატავს სოფლად მიმავალ ადამიანთა პატრიოტული მაგალითი.

ამ დღეებში ჩელიაბინსკის ს. ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის ინჟინერმა შილინმა განაცხადა: „სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობა ყველა საბჭოთა ადამიანის საერთო საქმეა. აი რატომ გადავწყვიტე მოვახმარო ამ საქმეს ჩემი ცოდნა და ძალები, უშუალო მონაწილეობა მივიღო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებაში“. ასევე პატრიოტული გრძნობებით არის გამსჭვალული თბილისის ხორცკომბინატის ვეტექიმი მ. ცქიტიშვილი, რომელმაც გადაწყვიტა გაემგზავროს სოფლად, რომ ხელი შეუწყოს ჩვენს ქვეყანაში მეცხოველეობის პროდუქტების სიუხვის შექმნას. ქუთაისის ტყესაცავი სადგურის მექანიკური სახელოსნოს გამგემ ინჟინერ-მექანიკოსმა დ. მახარაძემ, რომელიც მიემგზავრება მტს-ში სამუშაოდ, თქვა: „ჩემს პატრიოტულ მოვალეობად ვთვლი... მთელი ჩემი ცოდნა, ენერგია, გამოცდილება მოვახმარო სოფლის მეურნეობის ახალ აღმავლობას“.

ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, ყველა უბანზე მომუშავე საბჭოთა ადამიანები, შთაგონებულნი სოციალისტური სამშობლოს წინაშე თავიანთი პატრიოტული მოვალეობით, ცდილობენ რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მოუტანონ ქვეყანას, მისცენ მას მეტი თუჯი, ფოლადი, ნავთობი, მეტი მანქანა, დაზგა, ფეხსაცმელი და ტანსაცმელი, მეტი სურსათი, შექმნან ყოველივე, რაც კი საჭიროა საბჭოთა ადამიანის შეძლებული და კულტურული ცხოვრებისათვის, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებისათვის, საბჭოთა სახელმწიფოს შემდგომი განმტკიცებისათვის.

მუშები და კოლმეურნეები სისტემატურად ადიდებენ შრომის ნაყოფიერებას, აუმჯობესებენ პროდუქციის ხარისხს, მაქსიმალურად იყენებენ შინაარსურსებს, ზოგავენ ნედლეულსა და საწვავს, ამცირებენ პროდუქციის თვითღირებულებას. მთელ ჩვენს თვალუწვდენ სამშობლოში სულ უფრო ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება, მეტ გაქანებას იღებს მასების პატრიოტული წამოწყება, ნოვატორთა თაოსნობა. მოწინავე საწარმოთა და ნოვატორთა გამოცდილება მასების კუთვნილება ხდება. ყოველწლიურად ასეულ ათასობით რაციონალიზატორული წინადადება და გამოგონება ინერგება საბჭოთა კავშირის საწარმოებსა და კოლმეურნეობებში.

ვინ არ იცის სსრ კავშირში ცნობილი ადამიანების — კორაბელნიკოვის, კოლესოვის, კოვალიოვისა და სხვ. შრომითი გმირობის შესახებ. პატრიოტული შრომის განსახიერებას წარმოადგენს ის, როცა თბილისის კიროვის სახელობის ქარხნის ჩარხმშენებლები ქმნიან ახალ ჩარხებს, ტექნიკურად აუმჯობესებენ ჩარხთწარმოებას, როცა რუსთავში ახორციელებენ ლითონის ჩქაროსნულ დნობას, როცა ჭიათურელი მაღაროელები ზოგავენ მილიონობით მანეთს, აუმჯობესებენ მადნის ხარისხს და ამცირებენ მის თვითღირებულებას, როცა მეჩაიეები, მებოსტნეები ან მტს-ების მუშაკები გადაჭარბებით ასრულებენ გეგმებს. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები კარგად იცნობენ ი. ჭუმბურიძის, გ. მამაგეიშვილის, შ. კოხრეიძის, მ. ლაზარიაშვილის, დ. ტაკიძის, ო. აივაზაშვილისა და სხვა ნოვატორთა სახელებს, რომელთაც პატრიოტული შრომით თავიანთი წვლილი შეაქვთ საქვეყნო საქმეში.

საბჭოთა პატრიოტისათვის დამახასიათებელი არ არის ერთ წერტილზე შეჩერება, წარმატებებით დატკბობა და პარადული ხმაური. საბჭოთა პატრიოტის თვისება ის არის, რომ მიღწევებთან ერთად დროულად შენიშნოს ნაკლოვანებანი, გამოიჩინოს სიფხიზლე, პრინციპულობა, ამხილოს მუშაობის სუსტი მხარეები, დახავსებულობა, კონსერვატიზმი, კაპიტალიზმის გადმონაშთები ადამიანთა შეგნებაში, ხელი შეუწყოს მუშაობაში კრიტიკისა და თვითკრიტიკის დანერგვას, მხარი დაუჭიროს ყოველ ახალ წამოწყებას და გახადოს ის მასების კუთვნილებად.

საბჭოთა პატრიოტის მოვალეობაა მუდამ ახსოვდეს კაპიტალისტური გარემოცვა და მტკიცედ იდგეს სოციალისტური სამშობლოს სადარაჯოზე, გამოიცნოს მტრული ელემენტები, რა მოხერხებულადაც უნდა იყონ ისინი შენიღბულნი. ამასთან საბჭოთა პატრიოტიზმი როდი შემოიფარგლება მარტოოდენ ჩვენი სამშობლოს სიყვარულით. ეყრდნობა რა პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს, იგი შეიცავს სახალხო დემოკრატიის ქვეყნების, კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების, კაპიტალიზმის ქვეყნების მშრომელთა პატივისცემის, მშვიდობისა და პროგრესისათვის ბრძოლაში მათი მხარდაჭერის კეთილშობილურ გრძნობას.

ჩვენი ქვეყნის მშრომელნი, ანთებულნი ცხოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით, მტკიცედ დარაზმულნი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო მთელ თავის ძალღონეს, უნარსა და მონდომებას ახმარენ კომუნიზმის აშენებას.

ცალკე ბროშურად გამოიცა ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ ქართულ ენაზე ცალკე ბროშურად გამოსცა ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1953 წლის 3 სექტემბერს „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

ბროშურა გამოიცა მასობრივი ტირაჟით. (საქდესი).

საბჭოთა საქართველოს დღე

★

ყურძნის კარგი მოსავალი

დუშეთი. (საკ. კორ.). არაგვისპირის კოლმეურნეობაში წელს ვენახს საუკეთესოდ მოუარეს. ვენახის დამუშავებაში თავი გამოიჩინეს მერგოლურმა ვ. ლოთიკაშვილმა, კოლმეურნეებმა გ. ყაჭიურმა, თ. დინუაშვილმა, ე. თანიაშვილმა, თ. მეზვრიშვილმა და თ. ლოთიკაშვილმა.

გაჩაღდა რთველი. თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 110 ცენტნერი ყურძენი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 48 ცენტნერისა.

საშენი მასალა კოლმეურნეობებს

ტყიბული. (საკ. კორ.). კოლმეურნეობებში პირუტყვის სადგომების მშენებლობასთან დაკავშირებით იზრდება მოთხოვნილება საშენ მასალებზე.

მიმდინარე წლის 9 თვეში რაიონულმა კოოპერატივებმა გაყიდეს 140 ტონა ცემენტი და 10.250 ცალი შიფერი. მარტო კოკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ შეიძინა 6,5 ტონა ცემენტი, ხოლო მუხურის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობამ და საწირის კოლმეურნეობა „გლეხის იმედმა“ თვითეულმა შეიძინეს 6 ტონა ცემენტი.

ძმუისის კოლმეურნეობამ შეიძინა 1.400 ცალი შიფერი, ხოლო კისორეთის კოლმეურნეობა „წითელმა ოქტომბერმა“ და კურსების ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ თვითეულმა 1.200 ცალი შიფერი.

ახალი სახელოსნო

თეთრი წყაროს. (საკ. კორ.). დამთავრდა თეთრი წყაროს მტს-ის მშენებლობის პირველი რიგის სამუშაოები. აშენებული და დამონტაჟებულია ახალი ტიპის სარემონტო სახელოსნო. აგებულია აგრეთვე საწვავის ბაზა და იარაღ-მანქანების ფარდული. ამრიგად, მტს-ი უზრუნველყოფილია იმისათვის, რომ შეუფერხებლად შეასრულოს შემოდგომა-ზამთრის რემონტი.

ნახევარი საუკუნე სახალხო მასწავლებლად

ბათუმი. (საკ. კორ.). ბათუმის მეხუთე საშუალო სკოლის კოლექტივმა საზეიმოდ აღნიშნა საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის, ლენინის ორდენოსან მარიამ მოგილნაიას უმწიკლო პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წლისთავი.

საიუბილეო საღამოზე სკოლის დირექტორმა ა. სიხარულიძემ წაიკითხა მოხსენება მ. მოგილნაიას პედაგოგიური მოღვაწეობის შესახებ. მხცოვან მასწავლებელს მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა და აჯარის ასსრ განათლების მინისტრმა ამხ. ვ. ახვლედიანმა.

დასასრულ მოსწავლეთა ძალებით გაიმართა კონცერტი.



ახალი, ნათელი პერსპექტივაა გადაშლილი ამ ახალგაზრდების წინაშე. ისინი კვლავ დაუბრუნდნენ თავიანთ მშობლიურ მანქანა-ტრაქტორთა სადგურს. და ახლა საკოლმეურნეო მინდვრებს ამუშავებენ ტრაქტორით. **სურათზე:** აგარის მტს-ის (ქარელის რაიონი) ახალგაზრდა ტრაქტორისტი ნოდარ შუბითიძე და მეშვიდე სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელის თანაშემწე არსენ ტოტოშვილი.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

★

ხალხთა მეგობრობის დროშით

აბაშელ მექანიზატორთა წერილი ადლერელ მექანიზატორებს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილებამ ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია მექანიზატორებს შორის. ისინი ახალი ძალით აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას, მტკიცდება მეგობრული კავშირი მომძმე რესპუბლიკების მექანიზატორთა შორის.

ამ დღეებში აბაშის რაიონის მტს-ის კოლექტივმა მეგობრული წერილი გაუგზავნა კრასნოდარის მხარის, ადლერის რაიონის მტს-ის კოლექტივს.

წერილში აღნიშნულია, რომ აბაშელ მექანიზატორებს გადაწყვეტილი აქვთ მეგობრობა და მტკიცე კავშირი დაამყარონ ადლერელ მექანიზატორებთან, ერთმანეთს გაუზიარონ მოწინავე ადამიანთა გამოცდილება, ესტუმრონ ერთმანეთს მუშაობის გაცნობის მიზნით. წერილში მოყვანილია ციფრები და ფაქტები იმის შესახებ, თუ რას აკეთებს აბაშის მტს-ი და როგორ იბრძვის ნაკისრ ვალდებულებათა გასანაღდებლად.

აბაშელ მექანიზატორთა მეგობრულმა წერილმა ადლერელ მექანიზატორებში სიხარული გამოიწვია. ამის შესახებ ადლერის რაიონის მტს-ის დირექტორმა ამხ. ლეონიდ ნიკონოვმა განაცხადა:

— ამ დღეებში საქართველოს სსრ აბაშის რაიონის მტს-ის კოლექტივისაგან მეგობრული წერილი მივიღეთ. ამან ჩვენს კოლექტივში აღფრთოვანება გამოიწვია. გაეცნენ რა წერილის შინაარსს, მექანიზატორებმა მტკიცე სურვილი გამოთქვეს კავშირი დაამყარონ ქართველ მექანიზატორებთან. აბაშელ მექანიზატორებთან მტკიცე კავშირი ხელს შეგვიწყობს კიდევ უფრო ღრმად დავეუფლოთ თანამედროვე ტექნიკას და გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება. ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს საპასუხო წერილით მივმართოთ აბაშელ მექანიზატორებს და გავგზავნოთ ჩვენი დელეგაცია აბაშის მტს-ში.

აბაშელი მექანიზატორები სიხარულით მოელიან ადლერელ სტუმრებს.

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება

1.500 ტონა დაზოგილი საწვავი

თბილისელმა მეორთქლმავლეებმა სამეურნეო წლის დასაწყისიდანვე ფართოდ გააჩაღეს შეჯიბრება სათბობის მაქსიმალური მიმბირნეობისა და სახალხო-სამეურნეო ტვირთების გადაზიდვის თვითღირებულების შემცირებისათვის. ყველა სალოკომოტივო ბრიგადა მონაწილეობს ამ შეჯიბრებაში.

სათბობის მიმბირნეობით ხარჯვისათვის ბრძოლამ კარგი შედეგი გამოიღო. მიმდინარე წლის 8 თვეში დაზოგილია 1.500 ტონა სათბობი. ეს სათბობი საკმაოა იმისათვის, რომ თბილისიდან სანაინს ჩაიყვანონ ათობით სრულწონიანი მატარებელი.

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების დღეებში სათბობის მიმბირნეობისათვის ბრძოლაში დიდი წარმატება მოიპოვეს დ. სიმონიძისა და ლ. ბერიძის საორთქლმავლო გუნდებმა. 8 თვეში თვითეულმა 52 ტონა საწვავი დაზოგა. ა. მამაჯანაშვილის საორთქლმავლო გუნდმა 1 ოქტომბრისათვის 18 ტონა საწვავის ეკონომია გასწია და 8.500 მანეთით შეამცირა ორთქლმავლის რემონტზე გათვალისწინებული ხარჯები. ასეთივე მაჩვენებლები მოიპოვეს დ. შავლაძისა და ა. ჯღამაძის ბრიგადებმა.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 36-ე წლისთავის დღეებისათვის საორთქლმავლო გუნდებმა იკისრეს ნორმის გადამეტებით დაზოგონ საწვავი სულ ცოტა 5 პროცენტით, ტექნიკური სიჩქარე გაადიდონ საათში ერთი კილომეტრით, 90 ათას კილომეტრამდე გაადიდონ ორთქლმავლათა აწევითშორისი გარბენის მანძილი.

რაციონალიზატორული მუშაობის ახალი აღმავლობა

თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის კოლექტივმა, რომელიც ერთსულოვნად ჩაება საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში, უკანასკნელ თვეებში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნად გაადიდა მაღალხარისხოვნად შეკეთებული ავტომანქანების გამოშვება. ეს შინაგანი რეზერვების უკეთ გამოყენებისა, ტექნიკური გაუმჯობესებისათვის ბრძოლისა და რაციონალიზატორული მუშაობის ახალი აღმავლობის შედეგია. მარტო სექტემბერში ქარხნის მოწინავე მუშებმა, ტექნიკოსებმა და ინჟინრებმა 15 ძვირფასი რაციონალიზატორული წინადადება წარმოადგინეს. უკვე დაწყებულია ორგანიზაციული მუშაობა მათ განსახორციელებლად, ხოლო ზოგი წინადადება დანერგილია წარმოებაში.

ხაძარე საამქროში ა. სიმონიანმა გააკეთა ტვიფრი, რომლის საშუალებითაც ერთდროულად შეიძლება სიჩქარეთა კოლოფის გვერდითი სახურავის დატვიფრვა და დასვრეტა. ამ სამარჯვის გამოყენების შედეგად დეტალის დამზადებაზე მომუშავეთა შრომის ნაყოფიერება მნიშვნელოვნად გადიდდა. ასევე კარგი შედეგი გამოიღო პ. პოლევოისა და მ. ხასოევის მიერ ცილინდრების ბლოკის შეკეთებაში შეტანილმა გაუმჯობესებამ.

საწარმოს ყველა საამქროში ხორციელდება მრავალი ტექნიკური გაუმჯობესება, რაც აჩქარებს კვანძებისა და დეტალების დამზადებას, ამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას.

ყველა ამ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად საწარმომ სექტემბრის გეგმის გადამეტებით გამოუშვა 8 გაჯანსაღებული ავტომანქანა.

ცალკეულ სტახანოველებს შორის საოქტომბრო შეჯიბრებაში საუკეთესო მაჩვენებლებს აღწევენ ზეინკლები ბ. სიდამონიძე, პ. მუხიგულაშვილი, ხარატები ნ. კოვალი, ვ. ციმბალი, გ. ბერბიჭაშვილი და ვ. ღუდუშაური.

ბათუმელი მევაგონეების კარგი წამოწყება

ბათუმი. (საკ. კორ.). საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის ისტორიული დადგენილების საპასუხოდ საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას ბათუმის სავაგონო დეპოს კოლექტივმა გადაწყვიტა გადაჭრით გააძლიეროს მუშაობა სატვირთო ვაგონების შესაკეთებლად, სისტემატურად და გეგმის გადამეტებით გამოუშვას ჯანსაღი ვაგონები, რათა უზრუნველყოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების, იარაღ-მანქანებისა და ნედლეულის შეუფერხებელი გადაზიდვა. ამ ვალდებულების განადღებისათვის იგი თავდადებულად მუშაობს და უკვე შეასრულა ვაგონების საშუალო და წლიური შეკეთების ოქტომბრის დავალებები.

დეპოს კოლექტივმა გადაწყვიტა შეფობა გაუწიოს ქობულეთის მანქანა-ტრაქტორთა სადგურს. შეფობა გამოიხატება მტს-ისათვის ყოველდღიური პრაქტიკული დახმარების გაწევით, მოწყობილობის გამართულობის უზრუნველყოფით, სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების შესაკეთებლად დეტალების დამზადებით და ა. შ.

მევაგონეთა გადაწყვეტილებას დიდი სიხარულითა და მოწონებით შეხვდნენ ქობულეთის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მუშაკები. დეპოსა და მტს-ის წარმომადგენლები შეუდგნენ კონკრეტული ღონისძიებების დამუშავებას ასეთი შეფობის პრაქტიკულად განხორციელებისათვის.

ჩვენს დიად სამშობლოში

ღოკომობილები მეცხოველეობის ფერმებისათვის

ხერსონი, 8 ოქტომბერი. (საკდესი). ხერსონის ლოკომობილის ქარხანა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში ყოველდღე გზავნის „პ-38“ მარკის ათობით ლოკომობილს. ეს ახალი, საწარმოში გაუმჯობესებული მანქანაა. მისი დახმარებით შეიძლება განხორციელდეს კოლმეურნეობაში მეცხოველეობის ფერმების სრული მექანიზაცია და ელექტროფიკაცია.

ქარხანაში ხელახლა ეწყობა ძირითადი საქვაბე სადგარი, სადაც ქვაბების, საცეცხლურებისა და ლოკომობილის სხვა კვანძების დამზადება ნაკადურ ხაზებზე გადაჰყავთ. ეს შესაძლებლობას შექმნის მნიშვნელოვნად გადიდდეს ლოკომობილების გამოშვება.

მექანიკურ საამქროში შეიქმნა სპეციალური უბანი სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილების დასამზადებლად.

ქარხნის ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა ააგეს ელექტროსადგურის საცდელი ნიმუში, სადაც გამოყენებულია ორთქლსათბობი დანადგარი. ელექტროსადგური განკუთვნილია იმისათვის, რომ ელექტროენერგია და სითბო მიაწოდოს მანქანა-ტრაქტორთა სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობებს.

საშენ მასალათა წარმოების ახალი ტექნოლოგია

მინსკი, 8 ოქტომბერი. (საკდესი). ბელორუსიის საშენი მასალების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის კოლექტივი დახმარებას უწევს მრეწველობის მუშაკებს გაუმჯობესონ საშენ მასალათა წარმოების ტექნოლოგია, მათი ხარისხი და გაფართოონ ასორტიმენტი.

მეცნიერთა ბრიგადამ პროფესორ მ. ი. ლურიეს ხელმძღვანელობით მინსკის № 10 აგურის ქარხანაში განახორციელა ძვირფასი სიახლე. გვირაბიანი ღუმელები აქ გადაყვანილია ქვანახშირით გათბობაზე გენერატორული გაზის ნაცვლად. გარდა ამისა, აგურის გამოწვის პროცესის დასაჩქარებლად მისი დაყალიბების დროს თიხაში ურევენ ქვანახშირის მტვერს. ამის შედეგად შემცირდა სათბობის ხარჯი და 12 საათით დაჩქარდა აგურის გამოწვის ციკლი, გაუმჯობესდა მისი ხარისხი. ახლა გვირაბიანი ღუმელების გათბობის ახალი რეჟიმი სხვა საწარმოებშიც ინერგება.

პოლოცკის საშენ მასალათა კომბინატში მეცნიერთა დახმარებით დამზადდა ყინვაგამძლე კრამიტის პირველი პარტია. გამოცდამ დაადასტურა მისი მაღალი ხარისხი. გორინის აგურის ქარხანაში და მინსკის კრამიტის ქარხანაში ითვისეს ფერადი მოსაპირკეთებელი ფილების გამოშვება, რომლებსაც უკვე წარმატებით იყენებენ მინსკის მრავალსართულიანი შენობების ფასადებისათვის. ამ ფილების წარმოების ტექნოლოგია შეიმუშავა მეცნიერთა ჯგუფმა ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის ლ. კ. პეტროვის ხელმძღვანელობით.

სოფლების რადიოფიკაცია

პენზა. (საკდესი). წარმატებით შესრულდა ოლქის კოლმეურნეობათა რადიოფიკაციის 9 თვის გეგმა. წლის დამდეგიდან აგებულია 15 საკოლმეურნეო და საკოლმეურნეობათშორისო რადიოკვანძი. ახლა მოსკოვის ხმას ისმენენ კოლმეურნეთა 13 ათასზე მეტ სახლში.

სასოფლო-სამეურნეო არტელებში კიდევ შენდება ექვსი დიდი რადიოკვანძი.

სტატიები ა. ს. პუშკინის შესახებ

ლენინგრადი. (საკდესი). მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოუშვა სტატიების კრებული „ა. ს. პუშკინი რუსულ კრიტიკაში“. ეს არის კრებულის მეორე, შესწორებული გამოცემა. კრებულში გამოქვეყნებულია რუსი კრიტიკოსებისა და მწერლების რჩეული სტატიები და აზრი დიდი პოეტის შესახებ. დაბეჭდილია ნ. ვ. გოგოლის, ვ. გ. ბელინსკის, ა. ი. გერცენის, ნ. გ. ჩერნიშევსკის, ნ. ა. დობროლიუბოვის, ი. ა. გონჩაროვის, ა. მ. გორკისა და სხვათა სტატიები.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

აკადემიკოს გ. მ. კრჟიჟანოვსკის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

აკადემიკოს გ. მ. კრჟიჟანოვსკის საინჟინრო და მეცნიერული მოღვაწეობის ორმოცდაათი წლისთავის გამო და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ელექტროფიკაციის განვითარების საქმეში მისი თვალსაჩინო დამსახურებისა და ენერგეტიკის დარგში ნაყოფიერი მუშაობის აღსანიშნავად, გლებ მაქსიმილიანეს-ძე კრჟიჟანოვსკი დაჯილდოებულ იქნას ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე
კ. ვოროშილოვი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი
ნ. პეგოვი

მოსკოვი, კრემლი. 1953 წ. 8 ოქტომბერი.

მთელი ქალაქი პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის კლენუმის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად!

ახალი წარმატებებისათვის, ამხანაგო მექანიზატორებო!

მტს-ი და მისი ადამიანები

ა. ბარბაქაძე,
აგარის მტს-ის (ქარელის რაიონი) დირექტორი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის და მტს-ების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებების შესახებ უდიდეს პასუხსაგებ ამოცანებს აყენებს მტს-ების მუშაკების წინაშე. ეს დოკუმენტები ნათელყოფს, თუ რა დიდი მზრუნველობით ეკიდება ჩვენი პარტია, ჩვენი მთავრობა მექანიზატორებს.

ჩვენს მტს-ს ორ ათეულზე მეტი წლის ისტორია აქვს. ის ერთი პირველთაგანია ჩვენს რესპუბლიკაში. თავისი არსებობის მანძილზე მტს-ის მექანიზატორებს მნიშვნელოვანი წვლილი აქვთ შეტანილი საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცების საქმეში, არა ერთი და ორი სახელოვანი მექანიზატორი გამოუზრდია ჩვენს მტს-ს. ბევრია ისეთი მუშაკი, რომელიც მტს-ის ჩამოყალიბების დღიდან განუწყვეტლივ ემსახურება მექანიზაციის საქმეს. მაგალითად, მტს-ის მჭედელს ი. რაზმაძეს, საქმის ზედმიწევნით მცოდნესა და ენერგიით აღსავსე ადამიანს, თავისი ცხოვრების თითქმის ნახევარი მტს-ის სახელოსნოს სამჭედლო ქურასთან გაუტარებია. ხშირად ჩვენი მექანიზატორები მასზე სამართლიანად იტყვიან — ისე არაფერი არ ტყდება, რომ ვანომ გაკეთება ვერ მოუხერხოსო.

მტს-ში 20 წელზე მეტია მუშაობენ აგრეთვე მოწინავე კომბაინერი ა. ბერუაშვილი, მექანიკოსები ზ. ჩუტკერაშვილი, ი. გულარაძე, გ. ნოზაძე, სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი დ. ზუბაშვილი, რომელიც 17 წელია უცვლელი ბრიგადირია, ბრიგადირის თანაშემწე არჩილ კოკუაშვილი და სხვა მრავალი.

ჩვენ ბევრი მოწინავე ახალგაზრდა მექანიზატორიც გვყავს. აი, მაგალითად, 23 წლის ა. გეგელაშვილი. იგი უკვე 5 წელია მოწინავე ახალგაზრდულ ბრიგადას ხელმძღვანელობს. ის ამავე დროს კომბაინერ-მექანიკოსია. სამი სეზონია მის აგრეგატზე განუწყვეტლივ ფრიალებს გარდამავალი წითელი დროშა. ხუმრობით ამბობენ მექანიზატორები — ამ დროშას გარდამავალი არ უნდა ერქვასო.

მტს-ს გაცილებით მეტი მექანიზატორები ეყოლებოდა, რომ დღემდე კარგად ყოფილიყო მოწყობილი შრომის ანაზღაურების საქმე. ტრაქტორისტებს და სატრაქტორო ბრიგადის სხვა მუშაკებს ხშირად დაგვიანებით უსწორებდნენ ანგარიშებს კოლმეურნეობები, ცუდად იყო დაყენებული საყოფაცხოვრებო მომსახურებაც. ამის გამო ბევრი კარგი მექანიზატორი წავიდა მტს-იდან. მაგრამ ახლა, როდესაც გაიგეს პარტიისა და მთავრობის ახალი გადაწყვეტილებანი, მექანიზატორები კვლავ უბრუნდებიან თავიანთ პროფესიებს. პარტიისა და მთავრობის დადგენილებანი ხელს შეუწყობენ მტს-ის მუშაობას და გეგმების წარმატებით შესრულებას.

ჩვენს მტს-ს ყოველთვის მაღალი მაჩვენებლები ჰქონდა ტრაქტორებისა და კომბაინების წლიურ დატვირთვაში. 1949 წელს სამუალოდ თხუთმეტძალიან ტრაქტორზე გამომუშავებული იყო 502 პირობითი ჰექტარი. ასეთივე მაღალი მაჩვენებლები გვქონდა შემდეგ წლებში. მიმდინარე წელს ჩვენთან გეგმიური დატვირთვა პირობით ხვნაზე გადაყვანით 420 ჰექტარს უდრის, ბევრად მეტს, ვიდრე ნორმით არის დაწესებული. 1953 წლის სამ კვარტალში უნდა მოგვეხნა 19.000 პირობითი ჰექტარი, ფაქტიურად 1 ოქტომბრისათვის 24.000 ჰექტარი მოვხანთ. მიმდინარე წელს კომბაინებით უნდა აგვეღო 5.600 ჰექტარი. 24 კალენდარულ დღეში მოსავალი 5.900 ჰექტარზე ავიღეთ და მარტო მოსავლის აღებისას 140 ცენტნერზე მეტი საწვავი მასალა დავზოგეთ.

უკანასკნელ წლებში მკვეთრად გაუმჯობესდა შესრულებული სამუშაოთა ხარისხი, ამასთან ერთიორად და ერთისამად იმატა მოსავალმაც, თუმცა ზოგიერთი მექანიზატორი ზოგჯერ არაგულისხმიერად ეკიდება სამუშაოს მაღალი ხარისხით შესრულების საქმეს. ასე მოხდა ამ შემოდგომის სამუშაოებზე. მერვე სატრაქტორო ბრიგადამ 1,5 ჰექტარი არაწესიერად დაამუშავა. მართალია, დამნაშავენი სასტიკად დაისაჯნენ, მაგრამ, ეს სამწუხარო ფაქტი სამარცხვინო ლაქაა ჩვენი მტს-ისათვის. ჩვენი პარტიისა და მთავრობის მშობლიურ ზრუნვას მექანიზატორებმა თავდადებული შრომით უნდა უპასუხონ, აღკვეთონ წუნის მცირეოდენი გამოვლინებაც კი.

მტს-ების ხელმძღვანელობის საქმეში პრაქტიკულად კიდევ ბევრი რამ არის მოსაგვარებელი, რაც ადგილობრივმა ორგანოებმა უნდა გაკეთონ. ჯერ კიდევ მოისუსტებს ოპერატიული ხელმძღვანელობა. „ცენტრიდან“, თუ შეიძლება ასე ითქვას, მუშაკები მხოლოდ შეკვეთილი დავალებებით მოდიან — ჩაატარონ რევიზია, შეადგინონ აქტი და სხვ. ოპერატიულად კი ნაკლებად გვეხმარებიან. ცუდად არის მოწესრიგებული მტს-ის დაგეგმვის საკითხი. გეგმები დიფერენცირებული არ არის. საჭიროა ყველა წვრილმანის გათვალისწინება და მტს-ებისათვის რეალური გეგმების მიცემა. მოუგვარებელია მტს-ის მომარაგება სათადარიგო ნაწილებით, განსაკუთრებით კი სარემონტო მასალებითა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების ნაწილებით. „საქსოფლმომარაგების“ მუშაკები ამ მხრივ ნაკლებად იწუხებენ თავს და ხშირად ეს მდგომარეობა დიდ შეფერხებებს იწვევს. მიმდინარე წელს ცუდად იყო დაყენებული დაფინანსების საქმეც.

ამჟამად მტს-ების მუშაკების წინაშე მეტად პასუხსაგები ამოცანები დგას — წარმატებით დავამთავროთ საშემოდგომო ხვნა და თესვა, საუკეთესოდ მოვემზადოთ ზამთრის რემონტისათვის.

ჩვენი მტს-ის კოლექტივი წარმატებით დაძლევს ამ ამოცანას.

მამქანა-ტრაქტორთა სადგურებს სოფლის მეურნეობაში უდიდესი როლი აკისრიათ. ისინი თავიანთი ტექნიკური აღჭურვილობის მაღალი დონით ახორციელებენ მთორგანიზებელ როლს და წარმოადგენენ დიდ სახელმწიფო საწარმოებს.

პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებანი მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მთელი მუშაობის მკვეთრი გაუმჯობესების საწინდარია.

უდიდესი აღფრთოვანებით ეხმაურებიან მტს-ები პარტიისა და მთავრობის მშობლიურ ზრუნვას. პარტიის მოწოდებას საკოლმეურნეო სოფლის კადრებით განმტკიცების შესახებ მექანიზატორები პატრიოტული საქმეებით უპასუხებენ. ისინი დიდი ხალისით ბრუნდებიან მტს-ებში სამუშაოდ, რათა თავიანთი წვლილი შეიტანონ სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა ადამიანებს — მექანიზატორების შესანიშნავი პატრიოტული მოძრაობის შესახებ მოთხრობილია ამ გვერდში.

კეთილი იყოს თქვენი მოსვლა!

ანასტასია იონათამიშვილი გორის მტს-ში მუშაობდა მემინდვრე აგრონომად. მაშინდელმა არახელსაყრელმა პირობებმა აიძულა იგი მიეტოვებინა მტს-ი და დაეწყო მუშაობა რაიაბრუშუმში, რაც მის მოწოდებას არ წარმოადგენდა. მართალია, მალე ეს დარგიც კარგად აითვისა და ცუდად როდი უძღვებოდა თავის საქმეს მეაბრეშუმეობის დარგში, მაგრამ გული კვლავ მტს-საკენ მიეწევდა.

პარტიისა და მთავრობის დადგენილებებმა სოფლის მეურნეობის განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ ახალი ძალით აღუძრა აგრონომ ქალს წარმოებაში — მტს-ში მუშობის სურვილი.

უდიდესი აღფრთოვანებით წავალ სოფლად ჩემს სპეციალობაზე, რომლის შესაძენად პარტიამ და მთავრობამ ესოდენი ამაგი დამდეს, — განაცხადა ა. იონათამიშვილმა.

იგი სამუშაოდ მიდის ტყვიავის მტს-ში მემინდვრე აგრონომად.

— მე ვთხოვ მტს-ის დირექციას სოფელ დიცის კოლმეურნეობის ზონაში გამგზავნოს! — განაცხადა მან.

— ახლა, როდესაც უაღრესად საჭიროა კადრები სოფლის მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის, მზად ვარ საქმით ვუპასუხო პარტიის მოწოდებას, გავემგზავრო მანქანა-ტრაქტორთა სადგურში სამუშაოდ, — განაცხადა აგრონომმა თ. ალავერდაშვილმა.

მტს-ების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ პარტიისა და მთავრობის დადგენილების გაცნობის დღესვე ახალსოფლის მტს-ში მივიდა აგრონომი შოთა ბერიანიძე, რომელიც მეგობარ-ნეობას საცდელ ნაკვეთს განაგებს აქვე ახლოს, და გულითადი სურვილი გაუხიარა მტს-ის დირექტორს — მიეღო სამუშაოდ. აგრონომ ბერიანიძის სურვილი დაკმაყოფილებულ იქნება.

ტყვიაველი კოლმეურნე არჩილ ჯაბაშვილი წინათ ტრაქტორისტად მუშაობდა, მაგრამ თავი დაანება. ამას წინათ მან სურვილი გამოთქვა დაებრუნებინათ ტყვიავის მტს-ში სამუშაოდ ახლა იგი მტს-ში უკვე ერთ-ერთი მოწინავე ტრაქტორისტია და თესვის გეგმებს მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ანადგენს.

კარგად მუშაობენ აგარის (ქარელის რაიონი) მტს-ში ახალდაბრუნებული, მეშვიდე სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელის თანაშემწე არხენ ტოტოშვილი და ტრაქტორისტი ნოდარ შუბითიძე.

მათ წინაშე ნაყოფიერი შრომისა და სასამური ცხოვრების ნათელი პერსპექტივებია გადაშლილი.

კეთილი იყოს თქვენი დაბრუნება, ამხანაგებო!

მ ო კ ლ ე დ

⊙ 140 ცენტნერზე მეტი საწვავი მასალა დაზოგეს აგარელმა მექანიზატორებმა მოსავლის აღების დროს. 24 კალენდარულ დღეში 5.900 ჰექტარზე აიღეს მოსავალი.

⊙ 9 მექანიზატორი საუკეთესო მუშაობისათვის ჯიბის საათებით დაჯილდოვა ახალსოფლის მტს-ის დირექციამ.

⊙ 20 მექანიზატორი იმავე მტს-ისა დაჯილდოებულია სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროსაგან წარჩინებულის სამკერდე ნიშნებით და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროსაგან — ქების სიგელებით.

⊙ 100-ზე მეტი ტრაქტორი ჰყავს ახალსოფლის მტს-ს, მარტო კომბაინერი — 23 კაცია.

⊙ 10 გამსხვილებულ კოლმეურნეობას ემსახურება ახალსოფლის მტს-ი.

⊙ 6.762 ჰექტარზე აიღეს ახალსოფლელმა მექანიზატორებმა მოსავალი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 5.250 ჰექტარისა, 4.240 კილოგრამი საწვავი მასალა დაზოგეს წლის მარტო 1-ლ ნახევარში.



სურათზე: გორის რაიონის ახალსოფლის მტს-ის ტრაქტორისტი ვ. ხომასურიძე, რომელიც კვლავ დაუბრუნდა თავის მტს-ს და წარმატებით განაგრძობს მუშაობას.
ფოტო გ. ვახტანგაძისა.

მექანიზატორთა სადგომი

ი. მაცაბერიძე,
ახალსოფლის (გორის რაიონი) მტს-ის მთავარი ინჟინერი.

ახალსოფლის მანქანა-ტრაქტორთა სადგურში მუშაობა დავიწყე 1953 წლის 15 სექტემბრიდან. ამ თარიღით იწყება ჩემი, როგორც ინჟინერ-მექანიკოსის საქმიანობის ყველაზე საინტერესო პერიოდი. ჩვენ დიდი სატრაქტორო პარკი გვაქვს, გვყავს კარგი, გამოცდილი მექანიზატორებიც. პარტიისა და მთავრობის დადგენილებამ მტს-ების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ ბევრი სპეციალისტი აღაფრთოვანა და დააბრუნა მტს-ში სამუშაოდ. ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის მოწოდების პასუხად ყოფილი მექანიზატორები დიდი ხალისით ბრუნდებიან მტს-ში სამუშაოდ.

მტს-ის როლი და მნიშვნელობა დღეს სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკისათვის გასაგებია. მტს-ში მუშაობა ბევრ რამეს მაძლევს: ჯერ-ერთი ჩემს სპეციალობას კიდევ უფრო ღრმად ვეუფლები, მეორეც, თვით წარმოებაში შემაქვს წვლილი რეზერვების სრული გამოყენებით ჩვენი სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საქმეში, პროდუქციის სიუხვის მიღწევაში. კმაყოფილი ვარ მტს-ში მუშაობით იმიტომაც, რომ უშუალოდ წარმოებაში მუშაობით ხდება ახალგაზრდა სპეციალისტის ნამდვილი მომწიფება და დაჭაკაცება.

მტს-ები დღეს შეიარაღებულია ახალი კონსტრუქციის მძლავრი მანქანა-იარაღებით, ახალი ტექნიკით. თვითეული ჩვენგანი მოვალეა გამოიყენოს ეს ახალი ძვირფასი ტექნიკა, რათა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები სრულყოფილი აგროწესების დაცვით შესრულდეს. თვალისჩინივით უნდა მოვუაროთ იარაღ-მანქანებს, რომ გავახანგრძლივოთ მათი საექსპლოატაციო უნარი, ახალი, კვანძური მეთოდით კიდევ უფრო დავაჩქაროთ ხარისხიანი რემონტი, რაც სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების უფრო შემჭიდროებულ ვადებში მოწყობის საწინდარია.

ახალსოფლის მტს-ს აკლია უბნის მექანიკოსები. ეს საკითხი უახლოეს ხანში უნდა მოგვარდეს. ამჟამად ახალსოფლის მტს-ის მომსახურების საკოლმეურნეო მინდვრებზე გაისმის ტრაქტორების გუგუნი. გაჩაღებულია საშემოდგომო თესვა. ამასთან ახალსოფლის მექანიზატორები უკვე შეუდგნენ ტრაქტორების საშემოდგომო-საზამთრო რემონტს. მალე რემონტიდან გამოსული ტრაქტორების მძლავრ გუგუნსაც გავიგონებთ.

ახალსოფლის მტს-ის მექანიზატორები დიდი შრომითი აღმავლობით შეხვდნენ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებს. განსაკუთრებით აღაფრთოვანა ისინი უდიდესმა ღონისძიებამ მტს-ებში მუდმივი კვალიფიციური კადრების შექმნის შესახებ. მეცხრე სატრაქტორო ბრიგადამ, რომელსაც დ. ხუროშვილი ხელმძღვანელობს, სოფელ ხურვალეთის კოლმეურნეობაში 15 კალენდარულ დღეში დაამთავრა საშემოდგომო თესვა. ბრიგადას გეგმით 300 ჰექტარზე უნდა დათესა ხორბალი, ფაქტიურად დათესა 330 ჰექტარზე, აქედან ჯვარედინად დათესა 230 ჰექტარი. აღნიშნული ბრიგადის წევრები ყოველდღიურ დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ტრაქტორისტ ნ. ქერდიყოშვილის საქმიანობა. მტს-ის სახელოსნოს შემდუღებლები ნ. გაგნიძე და რ. რთველიძე ყოველდღიურ დავალებას 100-160 პროცენტით ასრულებენ.

ჩვენი მექანიკოსები კიდევ უფრო მეტს გააკეთებენ ახალ დავალებათა განხორციელებისათვის, ენერგიული შრომით უპასუხებენ მათზე პარტიისა და მთავრობის ზრუნვას.

ერთ საბჭოთა მეურნეობაში

ვარიანის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი ი. ეცადაშვილი) ახლა ხილის უმაგალითო მოსავალს იღებს. გულს ახარებს მეურნეობის ვაშლის ძვირფასი ნაყოფით დახუნძლული ბაღები, მწკრივთა შორის, მომღები პუნქტის ეზოსა და ფარდულებში ამთაგორებული მრავალნაირი საუკეთესო ჯიშის ვაშლი. დამამზადებელი ორგანიზაციები ვერ აუდიან მოკრეფილი ხილის გაზიდვას. 3.200 ტონა ვაშლი მოვიდა წელს მეურნეობაში.

ამ წარმატებებს ხელი შეუწყო მეურნეობის მექანიზაციამაც. აქ 13 ტრაქტორი აქვთ. ხვნა, აოშვა, კულტივაცია, გადახვნა, ფარცხვა, წამლობა, მთელი ძირითადი, რთული სამუშაოები მექანიზებულია.

უფროსი მექანიკოსი იაკობ კაიშაური, სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელი ივანე ანდრიენკო, ტრაქტორისტები ივანე ბელინი, ვიქტორ კოვალენკო, ლავრენტი კულუმბეკოვი საუკეთესო მუშაობის მაგალითებს იძლევიან. მათი ტრაქტორები მუდამ წესრიგშია. მეურნეობის მექანიზატორები უკვე შეუდგნენ ხვნას — აქედანვე მტკიცე საფუძველს უყრიან მომავალი წლის ბარაქიან მოსავალს.

დ ა ბ რ უ ნ ე ბ ა

ტრაქტორისტის ნაამბობი

— მეჯვრისხევში ტრაქტორის შემოსვლა მაშინ ნამდვილი დღესასწაული იყო. ტრაქტორი იმხანად არც ისე გვეუცხოვებოდა, მაგრამ ზედ ჩემი სახლის კართან მომდგარი პიველად ვნახე. სკოლიდან მომავალმა ნახნავში დავაგდე წიგნების ჩანთა და გამოვუდექ ტრაქტორს. ფთილა-ფთილა ამოდიოდა მილიდან კვამლი და სივრცეში იფანტებოდა. მინდვრის ჩვეულებრივ მყუდროებას მოტორის თუნთუნი და ბანგახი არღვევდა. ზედ შეჯდომა მეწადა, მაგრამ ოსკერის მოღუშული სახე იმ კვამლის ფთილასებრ მიქრობდა სურვილს. მე ვინლა ვიყავ, თავისი ბიჭუნაც რომ მიცუნცულებულიყო ახლოს, მგონი ზედაც არ შეხედავდა. შეიძლება იმიტომაც მეჩვენა ოსკერი ასეთი მკაცრი და უკარებელი, რომ ტრაქტორისტობა მიუწვდომელ რამედ მიმაჩნდა. არ ვიცი, ვისზე უფრო დიდი წარმოდგენა მქონდა — ჩემი ფიზიკის მასწავლებელზე, შუბლს რომ არასოდეს გაგვიხსნიდა და მეტისმეტი მომთხოვნი იყო, თუ ოსკერ ტერუნაშვილზე. ტრაქტორისტი და ფიზიკის მასწავლებელი აბა რა შესადარებელია, მაგრამ მოუმწიფებელი ყმაწვილი ვიყავი და უცხაური წარმოდგენა მქონდა საგნებსა და ადამიანებზე. თვალი კი არა, გული თან მიჰყვებოდა საკესთან ომახიანად მჯდარ ტრაქტორისტს.

აი საქმეც ეს არის, — ვფიქრობდი, — ამოდენა მანქანას მართავდე.

ტრაქტორმა სვლა შეანელა და ნახევრადმობრუნებული შედგა. მოტორი მაინც გუგუნებდა.

— ჰა, რაღას უდგეხარ, შეუწყე ხელი გუთანს. ვერა ხედავ, უჭირს?!

ვის ეუბნება, ნეტავ? მივიხედ-მოვიხედე, ჩემზე ახლოს არავინ დგას. უმალ გონს მოვედი და მივაფრინდი გუთანს. საქმე ალალბედზე იოლად მომივიდა.

მოვიგე მკაცრი ოსკერის გული — დაიძრა გუთანი ახალ კვლებში და ბელტი ბელტზე გადმოაწვინა. დოინჯი შემოვიყარე ამაყად და თვალი გავაყოლე ტრაქტორს. მაგრამ ასე დგომა რაღას მარგია. ხვალ ხუთივე საგანში ახალი გაკვეთილები გვაქვს. გავეშურე ჩანთისაკენ და გავწიე შინ. მივდივარ ამ ნახნავებში და თვალი უკან მრჩება...

იმ შემოდგომაზე აღარ მომიწია სკოლის ზარის წკრიალი მომესმინა. ეს წკრიალი ჩემი ყმაწვილკაცობის მახსოვრობაში სხვა ხმამ შეცვალა. თითქოს აგერ ახლოს ყოფილიყო, — მესმოდა ომის გუგუნი. ორმოცდაერთი წელი იყო, მძიმე ორმოცდაერთი... ბევრი ვაყვაკი წავიდა ჩვენი სოფლიდან. მიმბმელ-ტრაქტორისტების კურსებზე ვისწავლე ორი თვე. მტს-ის სახელოსნოში ვახტანგ მანძულაშვილი — ის ახლა ორდენოსანი მექანიზატორია — მასწავლიდა. კურსები რომ გავიარე, ნიკა საღირაშვილის ბრიგადაში მოვხვდი. ხელთუბნის კოლმეურნეობაში ვიმუშავე მიმბმელად. მაგრამ სული და გული ტრაქტორის საჭისკენ იყო მიმართული. აგერ ჩვენი ოსკერიც. ახლა უფრო გაბედულად შევხვდი მას — ბევრი რამ უკვე მესმოდა ტრაქტორისა. ამ მკაცრი სახის ტრაქტორისტში ალალი და მართალი გული დავინახე.

— გინდა, ბიჭო, ტრაქტორისტობა? მაშ, კარგი. ერთი რამ იცოდე — იოლი საქმე არ გეგონოს. ამოდი საკესთან!

იმხანად კარგად ვიყავ „დაუფლებული საკისარების შემოწმებას, სიჩქარის ალებას, მობრუნებას, გუთნისა და ტრაქტორის მოვლას, მთელ სამუშაო პროცესს. საწვავის ეკონომიასაც ვაღწევდი. ფუჭად არ ჩაუვლია თვეზე მეტ ხანს ტრაქტორისტის გვერდით ჯდომას და გულმოდგინე სწავლას. შემატყეს საქმის სიყვარული და მკაცრი გამოცდის შემდეგ მანდეს „სტზ-ნატი“ მარკის ტრაქტორი. მტს-ის მაშინდელმა დირექტორმა ბრძანებით რომ გააფორმა ჩემი ტრაქტორისტობა; რაღაც ფარული სიამაყე განვიცადე. ჩვიდმეტი წლისა შევსრულდი მაშინ. არასოდეს დამავიწყდება დამოუკიდებლად მუშაობის პირველი დღეები. ყველა რჩეული ქალიშვილის თვალი, ასე მეგონა, ნატვრით იყო ჩემკენ მოპყრობილი. ერთ მათგანს მაინც, ჩემს წარმოდგენაში, ხშირად ვხედავდი — თითქოს ნახნავებში იდგა მე რომ მიყვარდა იმ ცისფერი კაბით, თავზე პატარა ხალაბანდით, სახეზე ხელმოჩრდილებული... მიყურებდა და მიღიმოდა. როცა ტრაქტორი შემოფერხდებოდა, ქრებოდა ეს სახე, თითქოს თვალს მარიდებდა რომ არ შემრცხვენოდა. ერთ დღეს, მინდორში ხვნის დროს შორიდან შევნიშნე ჩემკენ მომავალი სამი ფიგურა. ორი მათგანი ქალი უნდა ყოფილიყო. ვუახლოვდები მათ ჩემი ტრაქტორით. ნიკა საღირაშვილი შორიდანვე ვიცანი. მაგრამ ეს გოგონები ვინღა არიან? თორტელებს აქ რა უნდათ? ვიცნობ შორიდან — ერთი მაყვალაა, ქერტიყაშვილი, მეორეც მისი თანატოლი ლიზიკო მერებაშვილი. ოსკერივით მკაცრი გამომეტყველების მიღება ვცადე, რომ ავტორიტეტული გამოვჩენილიყავ, მაგრამ არ გამომივიდა. გამეღიმა. თანაც გამეხარდა, რომ ასეთ კარგ დროს მეწვიენ ქალიშვილები — ვიცი, ნიკა მომიწონებს ნახნავს. კარგად ვიმუშავე იმ დღეს, სულ არ შემფერხებია ტრაქტორი.

— მოგიყვანე მოწაფეები, მიმბმელობა უნდა ისწავლონ. მაყვალას კი ტრაქტორისტობაც გადაუწყვეტია.

გული მატკინა ნიკას სიტყვებმა — „ახლა კი დაეკარგა ფასი ჩემს პროფესიას“, — გავიფიქრე.

— კეთილი, — ვეუბნები, — ისწავლონ.

თანაც ვფიქრობ: „ერიჰაა ქალიშვილები ჩემი პროფესიის მოზიარენი?! მე კი მათთან ამ პროფესიით მომქონდა თავი“.

რაც დღე გადიოდა, ვატყობდი, რომ მაყვალაცა და ლიზიკოც რაღაც განსაკუთრებული თანაგრძნობით შემომცქეროდნენ, თითქოს მათ იცოდნენ ჩემზე ის, რაც ჩემთვის დღეს თუ ხვალ, ცხადი იქნებოდა.

— პატარაა, გოგო, ჯერ ვინ წაიყვანს! — მოვკარ ერთხელ ყური მაყვალას სიტყვებს.

არმაში წასვლა მიწევდა. ბევრი ჩემი ტოლი უკვე თოფქვეშ იყო. ახლა მივხვდი, რომ თორტელი ქალიშვილები აქ ჩემს შემცვლელად მოუყვანია იმ შემოდგომაზე ნიკას.

დადგა ეს დღეც. რამდენიმე თვე მომზადება გავიარე და ორმოცდაორის ნოემბერში უკვე სტალინგრადის მისადგომებთან ამოვყავ თავი. სტალინგრადი, სტალინგრადი! — ასი წლისა რომ გავხდე, იქ გადახდილი ბრძოლები არ დამავიწყდება. ერთი მოზრდილი ქალაქის ოდენა უბანი სულ მთლად დალეწილი და გადაბუგული გადამეშალა თვალწინ.

— რამოდენა ნანგრევებია!.. რა ქალაქი იყო, თუ ძმა ხარ, აქ? — ვკითხე ჩემი დამტვრეული რუსულით ბრგე რუს მეტყვიამფრქვევეს, ვისი მეორე ნომერიც ვიყავი.

— „სტზ“, ბრიყვო, „სტზ“, არ იცოდი?

„სტზ“! — მოდი და გააგებინე ახლა ამას, თუ რა ახლობელია ჩემთვის ეს სახელი.

„მე ვიჯექი, მე, „სტზ“-ზე, აქედან გამოსული ტრაქტორით მეჯვრისხევის მინდვრებს ვხნავდი გორის რაიონში, გორი არ გაგიგონია?!..“ — მინდა ყვირილით გავაგონო ამხანაგს, მაგრამ განუწყვეტელი გუგუნი მიხშობს ხმას. და ჩავიკალ გულში მოწოლილი ბოღმა, ამ ნანგრევებით გამოწვეული, და დავცხეთ მტერს.

ომგადახდილი, ჭრილობამოშუშებული, გამარჯვების შემდეგ დავბრუნდი სამშობლოში.

ჯერ დედას მივაშურე, შემდეგ ჩემი გულისსწორი მოვინახულე და ტოლ-მეგობრები. ტრაქტორსაც, რაღა თქმა უნდა, მოვეკითხავდი.

შეხვედრები... სიხარული... ცრემლი... აბა რა მოსაგონარია, ბევრ ოჯახს გამოუცდია.

მალე კოლმეურნეობის მინდვრებში გავედი ჩემი ტრაქტორით. ვატყობდი, რომ ახალი აგროტექნიკური ღონისძიებანი ტრაქტორისტისაგან უფრო მეტ დახელოვნებას მოითხოვდა, ვიდრე მე მქონდა. მექანიზატორთა სურამის სკოლაში ვისწავლე რამდენიმე თვე, ავიმაღლე კვალიფიკაცია და ახლა უკვე „КД-35“ მარკის ტრაქტორს ვმართავდი. გავიდა ხანი. მუშაობაში წარმატებები მქონდა, მაგრამ შედეგს ცოტას ვხედავდი. არ იყო ჩვენი — ტრაქტორისტების პირობები ხელსაყრელი. ხუთას-ექვსას შრომადღეზე სულ უმნიშვნელო მარცვლეულს მარგუნებდა კოლმეურნეობა და ასევე ცოტა ფულს ვიღებდი. გულს არ ვიტეხდი, სანამ ჩემს პირად ცხოვრებაში რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება არ მოხდა:

დავქორწინდი იმ ქალიშვილზე, ვიზედაც ზემოთ გაკვრით ვამბობდი, — აი ნახნავში ცისფერი კაბით, ხალაბანდით, სახეზე ხელმოჩრდილებული, მომღიმარი თვალებით რომ წარმომიდგებოდა ხოლმე. სამიოდე წლის შემდეგ ჩვენი ახალი ოჯახი გაიზარდა, ორი შვილი გვეყოლა. ჩემი პროფესიის კაცს უკეთ უნდა ეცხოვრა. მაგრამ ხან კოლმეურნეობის, ხან მტს-ის მიზეზით რატომღაც ბევრჯერ გამომიცდია ხელმოკლეობა. ეს კიდევ არაფერი, ამას სხვა რამეც რომ ზედ არ დართვოდა. გაიზიდა ოჯახი, ვერ ვეტეოდით ერთ ჭერქვეშ. გამოვეყავი მამის ოჯახს. მივმართე კოლმეურნეობის თავმჯდომარეს თხოვნით — მოეცა ჩემთვის მცირე ნაკვეთი სამოსახლოდ. ყურიც არ მიგდო. მაშინ კი გადავწყვიტე დამეთმო ჩემი საყვარელი პროფესია, დამეტოვებინა სოფელი და წავსულიყავ სამუშაოდ გორის ბამბეულის კომბინატში და ცოლ-შვილიც თან წამეყვანა. აქ კი მოხდა ის, რამაც გარდატეხა გამოიწვია ჩემს ცხოვრებაში:

— ხომასურიძე, ლადო ხომასურიძე! — მომესმა ჩემი სახელი და გვარი, — გიხმობენ ჭიშკართან.

გავედი. ვხედავ, მტს-ის დირექტორია, დიმიტრი საამიშვილი, ხელში გაზეთი უჭირავს გაშლილი. მიყურებს და იღიმება.

— აგერ, ლადო ჩემო, ნახე, რა წერია ამ გაზეთში?

— არა, — ვეუბნები, — ამხანაგო დიმიტრი, შინ დამხვდება, გამოწერილი მაქვს.

— რომ მიხვიდე, წაიკითხე. თქვენზეა, ტრაქტორისტებზე, ეს დიდი დადგენილება. წაიკითხე და დაუფიქრდი, ბიჭო, გაგითენდათ!

შინამდე რა გამაძლებინებდა. შესვენების დროს სადილზე არ წავედი. დავჯექ საამქროს წითელ კუთხეში და სტრიქონ-სტრიქონ წავიკითხე. ვკითხულობ და კვლავ ვუბრუნდები, თვალებს ფართოდ ვახელ — არაფერი გამომრჩეს.

ვინ დამაკავებდა. დავწერე განცხადება და გამათავისუფლეს კომბინატიდან.

დავუბრუნდი ჩემს მტს-ს. მგონია, ომიდან დაბრუნების დროს ასეთი სიხარულით არ შემხვედრიან. გადამეხვივნენ ბიჭები.

— შენს თავს არავის დავანებებ, იცოდე, ჩემს ბრიგადაში უნდა იყო, — მეუბნება შიო ზუმბურიძე და, მხიარული, ღონიერი ხელებით მანჯღრევს. — ჩემო შავტუხა ბიჭო, გესმის რაები ხდება, ხელახლა ვიბადებით ტრაქტორისტები.

ერთი თვე არცკია ვმუშაობ და უკვე სამოცი შრომადღე მაქვს. მეჯვრისხევში ვარჩევ სამოსახლო ნაკვეთს და ამ წლის ბოლომდე ჩემს სახლსაც წამოვჭიმავ. ვხედავ, ვეღარ გავძლებ უთქვენოდ, ჩემო ლადო მინდვრებო, და ვერც უშენოდ, ჩემო ძველო მეგობარო — კვლავ შენს საჭეს ვუზივარ!

ვ. თოლრდუა.
გორის რაიონი. ახალსოფელი.

საღეისო თემაზე

სოფლის ამბულატორია

სოფლის ამბულატორია, საუბნო საავადმყოფო სოფლად მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ერთ-ერთი ძირითადი რგოლია. სოფლის ამბულატორიის მუშაობა მიმართულია არა მარტო იქითკენ, რომ უზრუნველყოს დაავადებათა სწრაფი ლოკვიდაცია, არამედ იქითკენაც, რომ სათანადო პროფილაქტიკური ღონისძიებათა განხორციელებით თავიდან იქნას აცილებული დაავადებათა წარმოშობა.

ამ უკანასკნელ ხანებში მთელ ჩვენს ქვეყანაში დაიწყო ფართო მოძრაობა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების დისპანსერული მეთოდების დასანერგავად. ეს მეთოდები ხელს უწყობს ხამკურნალო და სანიტარული საქმის ერთიანობის განმტკიცებას, მკურნალი ექიმებისა და სანიტარული ექიმების შემოქმედებითს თანამეგობრობას. სოფლის ამბულატორიის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას შეადგენს აქტიური მონაწილეობა მიიღოს დისპანსერიზაციაში. ამბულატორიის მუშაკებს უნდა ახსოვდეთ, რომ დისპანსერიზაცია მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების უმაღლესი ფორმაა.

ჩვენს რესპუბლიკაში ცოტა რდია კარგი, სანიმუშო სოფლის ამბულატორია. წულუკიძის რაიონში ერთ-ერთი მოწინავეა სოფელ მათხოჯის ამბულატორია. ამბულატორიის გამგე ლ. მელაძე მოსახლეობაში ხშირად მართავს ლექციებს-მოსხენებებს ჯანმრთელობის დაცვის აქტუალურ საკითხებზე. სოფელში დროულად ხორციელდება პროფილაქტიკური ღონისძიებები. ამბულატორიის მთელი კოლექტივი ნაყოფიერ მუშაობას ეწევა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ამ დაძაბულ დღეებში. მინდვრად კოლმეურნეობებისათვის მოწყობილია სამედიცინო-სანიტარული პუნქტები, რომლებიც სათანადო მომსახურებას უწევენ კოლმეურნეებს.

ასეთი მოწინავე ამბულატორიები რესპუბლიკაში ცოტა როდია, ისინი განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობენ დისპანსერიზაციის დარგში.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა წარმატებათა მიღმა არ დავენახა ნაკლოვანებანი, ჩამორჩენილი სოფლის ამბულატორიები. მაგალითად, არადამაკმაყოფილებელია კაჯრეთის რაიონის სოფელ ჩალაუბნის ამბულატორიის მუშაობა. აქ არ ხდება მოსახლეობის მასობრივი სამედიცინო შემოწმება, არ ეწყობა ლექცია-საუბრები, არ ბრიგადლდება პროფილაქტიკური ღონისძიებები. ავადმყოფთა მომსახურება დაბალ დონეზე დგას. ასეთი მდგომარეობა ხშვაგანაც არის.

მშრომელთა კულტურული სამედიცინო მომსახურება მოითხოვს სოფლის ამბულატორიებსა და კოლმეურნეობებს შორის კონტაქტისა და შემოქმედებითი თანამეგობრობის გაძლიერებას. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ სოფლად მომუშავე ყოველი ექიმის მოთხოვნილებად იქცეს დაეხმაროს კოლმეურნეობების გამგეობებს კარგად გააზრებული შრომის ორგანიზაციის განხორციელებაში, სამედიცინო მონაცემების საფუძველზე მიხცეს რჩევა, თუ სად, კონკრეტულად რომელ სამუშაოზე უფრო მიზანშეწონილია ამა თუ იმ კოლმეურნის გამოყენება.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების, მათი მუდმივი კომისიების ამოცანაა ქმედითი დახმარება და კონტროლი გაუწიონ სოფლის ამბულატორიებს, საუბნო საავადმყოფოებს, რათა მათი მუშაობა აყვანილ იქნას თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე.

იზრდება სამედიცინო დაწესებულებათა ქსელი

ტყიბული. (საკ. კორ.). საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ტყიბულში არც ერთი სამედიცინო დაწესებულება არ ყოფილა. ავადმყოფ მეშახტეებს მომსახურებას უწევდა ერთი კერძო ფერშალი, რომელიც მათ დიდ ფულს აჭდევინებდა. ამჟამად მუშაობს ოთხი საავადმყოფო, პოლიკლინიკა. თვითეულ შახტს აქვს სამედიცინო პუნქტი. შარშან საექსპლოატაციოდ გადაეცა სამშობიაროო სახლი. ახლახან დამთავრდა საბავშვო ბაგის შენობის აგება. მუშაობს სამი რენტგენის კაბინეტი. ქალაქის სამედიცინო დაწესებულებაში მუშაობს 47 ექიმი და 196 ექიმის თანაშემწე.

წელს ჯანმრთელობის დაცვაზე ასიგნებულია მილიონობით მანეთი.

ღამაზად შეკეთილი, მოდური ფანსაცმელი—მომხმარებელს

საბჭოთა მთავრობამ და კომუნისტურმა პარტიამ უაღრესად მნიშვნელოვანი საბრძოლო ამოცანები დაუსახეს ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლისა და სასურსათო საქონლის მრეწველობის საწარმოთა კოლექტივებს. ეს ამოცანები მკაფიოდ არის აღნიშნული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის გადაწყვეტილებებში და ამ სესიაზე საბჭოთა მთავრობის მეთაურის ამხანაგ გ. მ. მალენკოვის გამოსვლაში — უახლოესი 2-3 წლის განმავლობაში შეექმნათ ლამაზად, მიმზიდველად და მკვიდრად ნაკეთები მასობრივი მოხმარების საქონლის სიუხვე, უზრუნველვყოთ საბჭოთა ადამიანების მუდმივად მზარდი მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის მკვეთრი აღმავლობა.

მასობრივი, სახალხო მოხმარების საქონლის იმ ჯგუფში, რომლის წარმოებასაც ახლა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, პირველ რიგში იგულისხმება მზა ტანსაცმელი. ჩვენი ქვეყნის მშრომელები ახლა დიდ მოთხოვნილებას უყენებენ ამ მხრივ სამკერვალო მრეწველობას. საბჭოთა ადამიანს სურს კარგად ჩაიცვას, ძვირფასი, თანამედროვე გემოვნებით შეკერილი ტანსაცმელი ჰქონდეს, მაგრამ ხშირად იგი ვერ პოულობს ასეთ ტანსაცმელს სავაჭრო ქსელში და მართებულ საყვედურს გამოთქვამს სამკერვალო მრეწველობის მუშაკებისადმი მათი მოუქნელად, ძველებურად მუშაობის გამო.

ჯერჯერობით ჩვენი რესპუბლიკის სამკერვალო მრეწველობის საწარმოები ვერ ახერხებენ სეზონის მოთხოვნილების მიხედვით მუშაობის გარდაქმნას. ამას მოწმობს ის, რომ წელს გასულ 9 თვეში საქართველოს სამკერვალო მრეწველობამ სამინისტროს საასორტიმენტო გეგმა ვერ შეასრულა ორი ჯგუფის მიხედვით. თბილისის პირველმა სამკერვალო ფაბრიკამ რვა თვეში დაგვაკლო 7.000 ცალი ბამბის კაბა, ხოლო მე-3 სამკერვალო ფაბრიკამ — 21.000 ცალი ბამბისაგე შარვალი.

ცუდად მუშაობს სამკერვალო მრეწველობის თითქმის ყველა საწარმო, გარდა თბილისის მეექვსე სამკერვალო ფაბრიკისა, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების დარგშიც. ამის შედეგად წელს განვლილ 8 თვეში სავაჭრო ორგანიზაციებმა მარტო თბილისის სამკერვალო საწარმოებს წარუდგინეს პრეტენზიები 170.000 მანეთის მზა ტანსაცმელზე. არადამაკმაყოფილებელი შედეგებია პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლის მხრივაც. განვლილი 7 თვის მანძილზე მარტო თბილისის სამკერვალო საწარმოებს მზა ტანსაცმლის თვითღირებულება უნდა შეემცირებინათ 6,4 პროცენტით, ნამდვილად კი თვითღირებულება შემცირებულია მხოლოდ 5,1 პროცენტით. ამის შედეგად ზეგეგმიური დაგროვების თანხა საგრძნობლად ნაკლები მივიღეთ, ვიდრე უნდა მიგვეღო.

სექტემბერში სამკერვალო მრეწველობის საწარმოებმა უკეთესად იწყეს მუშაობა. მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესების ნიშნები აქვს ჩვენი სამკერვალო მრეწველობის ისეთ წამყვან საწარმოს, როგორიც არის თბილისის პირველი სამკერვალო ფაბრიკა. უკეთესად მუშაობენ სხვა ფაბრიკები და სამკერვალო ატელიეებიც, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია.

ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს მივაღწიოთ იმას, რომ მომავალ 1954 წელს 1953 წელთან შედარებით საქართველოს სამკერვალო მრეწველობამ მოგვცეს 24 პროცენტით მეტი პირველხარისხოვანი მზა ტანსაცმელი, ხოლო 1955 წელს — 8,2 პროცენტით მეტი, ვიდრე 1954 წელს.

ამასთან გათვალისწინებულია სამკერვალო საწარმოთა წარმადობის საგრძნობლად გადიდება. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ძვირფას ქსოვილებისაგან შეკერილი ტანსაცმლის გამოშვების გაფართოებას.

ოქტომბრიდან სამკერვალო ფაბრიკებს და ატელიეებს უკვე მიეცათ გადიდებული საწარმოო დავალებები. ამ დავალებათა შესრულების შედეგად წელს მრავალი ათასი ცალი ძვირფასი შალის პალტო და მრავალი ათასი კომპლექტი მაღალხარისხოვანი ქსოვილებისაგან შეკერილი კოსტიუმი იქნება გამოშვებული.

მიღებულია ზომები ტანსაცმლის კერვის ტექნოლოგიის გასაუმჯობესებლად. თბილისის მეექვსე სამკერვალო ფაბრიკაში გავმართეთ მამაკაცის კოსტიუმის შესაკერავი სპეციალური აგრეგატი, თბილისის პირველ სამკერვალო ფაბრიკაში გავადიდეთ კაბების გამოწყობთა და მქარგავთა ჯგუფი, სამოდელე სახლის კოლექტივს დავეკისრეთ იმუშაოს მხოლოდ ახალი ფასონებისა და მოდელების შექმნაზე და ა. შ.

მოდათა ატელიეები ამჟამად ვერ უთავდებიან დაკვეთების შესრულებას. გადაწყვეტილია გავაფართოოთ მათი ქსელი, გავხსნათ ახალი ატელიეები სტალინირში, ტყიბულში, რუსთავში, გორში, თელავში, თბილისის ორჯონიკიძისა და 26 კომისრის რაიონებში და კიდევ ერთი სპეციალიზებული ატელიე საბავშვო ტანსაცმლისათვის თბილისში. თბილისის ატელიეებში 15 ოქტომბრიდან მუშაობა ორ ცვლად იქნება.

მთავარი ახლა ის არის, რომ უზრუნველვყოთ სამკერვალო მრეწველობის საწარმოებისათვის ძირითადი ნედლეულის, ე. ი. მაღალხარისხოვანი შალისა და აბრეშუმის ქსოვილების გარდამავალი მარაგის შექმნა. ეს საჭირო და აუცილებელია იმისათვის, რომ შევქმნათ პირობები საწარმოთა რიტმული მუშაობისათვის, თავიდან ავიცილოთ იძულებითი გაცდენები, რაც იწვევს პროდუქციის თვითღირებულების ზრდას. საქართველოს სსრ ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტრო უნდა დაეხმაროს სამკერვალო მრეწველობის ტრესტს სამკერვალო საწარმოებისათვის ქსოვილთა გარდამავალი მარაგის შექმნაში.

საქართველოს სამკერვალო მრეწველობის მუშაკები აღსავსენი არიან იმ რწმენით, რომ შეძლებენ პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ ამოცანათა პირნათლად შესრულებას, საბჭოთა მომხმარებლისათვის ღამაზად შეკერილი, მოდური ტანისამოსის უხვად და ასარჩევად მიწოდებას.

მ. ქართველიშვილი,

საქართველოს სსრ ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტროს სამკერვალო ტრესტის მმართველი.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს ოსტატნული კულტურების ჯაზთა გამოცდის სახელმწიფო კომისიის გორის სახელმწიფო ნაკვეთი მოსსახურებას უწევს ქარელის, გორის, სტალინირის, კასპისა და ხაშურის რაიონების კოლმეურნეობებს. აქ ახდენენ ბოსტნეულის, ბალჩეულის, კარტოფილისა და ძირხვენების მაღალმოსავლიანი ჯიშების დარაიონების ცდებს. სურათზე: ნაკვეთის გამგე აგრონომი შ. ბერიანიძე ამოწმებს კომბოსტოს სამწიფეს.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

კულტურული ცხოვრების ქრონიკა

სუხუმი. (საკ. კორ.). ა. ჰ. გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში მოეწყო შეხვედრა სტალინური პრემიის ლაურეატ პოეტ სიმონ ჩიქოვანთან.

მოხსენება თემაზე — ს. ჩიქოვანის შემოქმედება გააკეთა ინსტიტუტის უფროსმა მასწავლებელმა დ. თევზაძემ.

ბათუმი. (საკ. კორ.). გიორგოთა აკადემიის ასსრ დამსახურებული არტისტის ალექსანდრე ჯიჯეიშვილის ქორეოგრაფიის დარგში 20 წლის მოღვაწეობისადმი მიძღვნილი სალამო.

მოხსენება ალ. ჯიჯეიშვილის მოღვაწეობის შესახებ გააკეთა პოეტმა ნ. მალაზონიამ. მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს ბათუმის საწარმოების, დაწესებულებებისა და ახალგაზრდობის წარმომადგენლებმა.

⊙ ონი. სარაიონო კულტურის სახლის აგიტბრიგადა ბრიგადა მოსავლის აღებასთან დაკავშირებით ჯულტურულ მომსახურებას უწევს რაიონის კოლმეურნეობებს. ამ დღეებში აგიტბრიგადა კ. კერესელიძის ხელმძღვანელობით ეწვია ღარის კოლმეურნეობას, სადაც გამართა კონცერტი.

მოკლე ცნობები

მახარაძის რაიონის სოფელ განახლების ბუდონის სახელობის კოლმეურნეობაში გაიხსნა სამშობიარო სახლი. ამავე სოფელში აშენდა აბანო.

• • •

ზუგდიდში აშენდა სამსართულიანი კაპიტალური სახლი სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისათვის. სახლის აგებაზე დაიხარჯა 419.000 მანეთი. (საქდესი).

არქეოლოგიური ძიება ოსისა და ამგრროლაურის რაიონებში

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიცია წელს განაგრძობდა ისტორიულ-არქეოლოგიური ძიებების შესწავლას ოსისა და ამბროლაურის რაიონებში. ექსპედიციამ აღმოაჩინა დიდი მეცნიერული მნიშვნელობის მრავალი ძეგლი, რაც დიდად სწევს წინ ჩვენს ეროვნულ ტომების მატერიალური კულტურის ისტორიის შესწავლის დარგში.

მდინარე რიონის სათავეებთან ადგილ ბრილში აღმოჩენილია ბრინჯაოს ხანის (ძველი წელთაღრიცხვის II ათასეულის) ნასახლარები და მეტალურგიული წარმოების ნაშთები. ამგვარივე ნაშთები მიკვლეულია რიონის მარჯვენა შენაკადის — მდინარე ლეხურნის ხეობაში. უფრო ახალგაზრდა ძეგლების — ფეოდალური დროის მაღნის სადნობ ღუმელთა არსებობა დამოწმდა ქ. ონთან და სოფელ ლიხეთთან.

ონისა და ამბროლაურის სხვადასხვა სოფელში დაზვერილ იქნა მრავალ საფორტიფიკაციო და საკულტო ნაგებობათა ნაშთები.

სამთამადნო-მეტალურგიული წარმოების ძეგლების შესწავლის პარალელურად ექსპედიცია თხრიდა ძველ სამაროვნებს. განსაკუთრებით საყურადღებო ნივთებია აღმოჩენილი ბრილის, ლიხეთისა და კვაშხეთის სამაროვნებში. ბრილში, ერთ-ერთი წარჩინებული ქალის სამარხში, რომელიც ძველი წელთაღრიცხვით V-VI საუკუნეებს მიეკუთვნება, ბრინჯაოს, ვერცხლისა და მინის უამრავ ძვირფას სამკაულთან და თიხის ჭურჭელთან ერთად, აღმოჩნდა 104 ცალი ოქროს ძმები. ბევრ სხვა სამარხში მაღალმხატვრული გემოვნებით ნაკეთებ სამკაულებს (საყურეები, სამაჯურები, საყელურები, ბეჭდები, ბალფები, საკიდები და სხვ.) გარდა, იყო ბრინჯაოსა და რკინის იარაღები (ისრის წვერები, ცულები, სატევრები, დანები, შუბები).

რიონის სათავეებს არქეოლოგიური გათხრის მთელ ისტორიაში პირველად ლეხეთის ერთ ძველ სამარხში (ძველი წელთაღრიცხვის VI-V საუკუნეები) აღმოჩნდა კოლხური ვერცხლის ფული, ე. წ. „კოლხური თეთრი“.

მეტად დიდი მეცნიერული მნიშვნელობა აქვს სოფელ კვაშხეთის № 1 სამარხის ინვენტარს. სამარხში დაკრძალული იყო წარჩინებული წოდების ორი ადამიანი. მათთვის თან ჩაუტანებიათ ორყურიანი ჩაფი, ბრინჯაოს დიდი, მხატვრულად ნაკეთები ბალთა, რომელზეც გამოსახულია ალვირიან-სამკერდულიანი უბელო ცხენი, ხარი, ძაღლი და ორბი; გარდა ამისა, სამარხში აღმოჩნდა ოქროს საკიდებით შემკობილი ყელსაბამი, ძვირფასი თვლებით მოოქროული ორი წყვილ ოქროს საყურე, ოქროსა და ვერცხლის ბეჭდები, ვერცხლის აბზინდები, ვერცხლის საკინძი და სხვ. აქ აღმოჩენილ ნივთთაგან დამუშავების სრულყოფილ ტექნიკურ [illegible] ამ-[illegible] დიდი ოსტატობით ამოკვეთილია გვირგვინოსანი ადამიანის თავი. ასევე გასაოცარი ხელობისაა ვერცხლის დიდი, ტალღოვანი საჩეებით შემკობილი ლარნაკი, რომლის ფსკერს ამშვენებს სეკვადით გამოყვანილი ვარდული და ხვიების წრე. ეს სამარხი თარიღდება ახალი წელთაღრიცხვის II-III საუკუნეებით.

ექსპედიციის მიერ მოპოვებული მასალა მოწმობს ქართველი ტომების ადრე (ძველი წელთაღრიცხვის II ათასეულია) დაწინაურებას ლეთონის ადგილობრივი მოპოვება-დამუშავების საქმეში. იმდროინდელი საკულტურო კულტურის ფონზე მათი მიღწევები ბრინჯაოს მეტალურგიის დარგში საინიმუშოდ გამოიყურება. უფრო გვიან მათ წარმატებით აუთვისებიათ რკინის მეტალურგიის საიდუმლოებაც, რასაც ძველი წერილობითი წყაროებიც მოწმობენ. რკინის მაღნის ადგილობრივი დამუშავება არ შეწყვეტილა XIX საუკუნის ბოლო ხანებამდე. ამ დროის რკინის წარმოების მაღალი დონე ცნობილია სოფელ წედისიდან.

ადრე დაწინაურებული ჩვენში ოქრომჭედლობაც. ახალი წელთაღრიცხვის დამდეგის კვაშხეთური ოქროსა და ვერცხლის ნივთები ქართველი ოქრომჭედლების ვირტუოზობას მოწმობს. ისინი არაფრით არ ჩამოუვარდება მცხეთის წარჩინებულთა სამარხებში მოპოვებულ ძეგლებს და მოწმობს ქართული აღმოსავლური და დასავლური კულტურის ერთიანობას.

ექსპედიციის მიერ წელს ჩამოტანილ მასალათა შორის აღსანიშნავია სოფელ თხმორში აღმოჩენილი ბანძი. მისი ხნოვანება . სამი ათასი წელია. განძში შედის კოლხური ტიპის ბრინჯაოს თოხები, ხელოჩოები, ბატარა სატევრები და სხვ. მასში ყურადღებას იქცევს უძველესი ქართული კულტურისათვის სრულიად უცნო, ორყურიანი ცული, რომელსაც „კელტს“ უწოდებენ. იგი დამახასიათებელია სამხრეთ რუსეთის კულტურისათვის და იმას გვაუწყებს, რომ ჩვენს წინაპრებს ძლიერ ადრე დაუმყარებიათ ეკონომიური კავშირი ამ რაიონების მოსახლეობასთან.

მდინარე რიონის ზემოწელში ისტორიულ-არქეოლოგიური კვლევა-ძიება, ცხადია, კვლავაც გამოავლენს ბევრ ახალ, მნიშვნელოვან ძეგლს.

ძეგლების მიკვლევაში ექსპედიციას აქტიურ დახმარებას უწევდნენ ონისა და ამბროლაურის რაიონების ინტელიგენცია და კოლმეურნე გლეხობა.

გ. ბოგველიშვილი,

ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, ექსპედიციის ხელმძღვანელი.

თეატრალური საზოგადოების გამსვლელი სესია

ცხალაია. („კომუნისტის“ კორ.). საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ აქ მოაწყო გამოჩენილი ქართველი დრამატურგის ავქსენტი ცაგარლის გარდაცვალების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი გამსვლელი სესია.

სესიაზე ავქსენტი ცაგარლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენება წაიკითხა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა შ. დადიანმა.

მოხსენებებით გამოვიდნენ ბგრეთვე მწერალი რ. ქორქია — „ავქსენტი ცაგარლის პიესების ენა“, საქართველოს თეატრალური მუზეუმის სწავლული მდივანი ს. გერსამია — „ავქსენტი ცაგარლის უცნობი დრამატული ნაწარმოებები“, თეატრმცოდნე ნ. შენგელაია — „ავქსენტი ცაგარლის ადგილი ქართულ დრამატურგიაში“, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ნ. გოძიაშვილი „ავქსენტი ცაგარლის პიესის — „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ განხორციელება ფოთის თეატრში“.

ქართველი დრამატურგის ცხოვრებაზე და მოღვაწეობაზე მოგონებით გამოვიდა ქ. ცხალაიას რკინიგზის პოლიკლინიკის მხცოვანი ექიმი ს. კეკელია.

ახალი წიგნები

„ალმანახი — პროზა 1953“, სახელგამი, თბილისი, 1953 წელი. გვ. 735, ფასი 19 მან.

წიგნში შეტანილია ქართულ ლიტერატურაში მიმდინარე წელს დაწერილ ნაწარმოებთა ერთი ნაწილი: ა. ბელიაშვილის რომანი „რუსთაველი“ (პირველი ნაწილი), ა. ჭეიშვილის რომანი „დიდი ტალღა“ (პირველი წიგნი), მოთხრობებიდან რ. ჯაფარიძის „ჯარისკაცის ქვრივი“, ა. დევდარიანის „დიდ გზაზე“, ო. ჩხეიძის „ჯუბირი“ და ქ. ელისაბედაშვილის „იმ ზაფხულს“. აქ წარმოდგენილ ნაწარმოებთა უმეტესობა ასახავს ჩვენს თანამედროვე ცხოვრებას, გვიხატავს საბჭოთა ადამიანების საქმიანობას.

ი. ანდრონიკაშვილი — **„საქართველო მ. ლერმონტოვის შემოქმედებაში“**, გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“, თბილისი, 1953 წელი, გვ. 260, ფასი 7 მან. 95 კაპ.

ნაშრომში თამამყრილია მასალები საქართველოსთან დიდი რუსი პოეტის ურთიერთობის შესახებ, ეძღვნება მ. ლერმონტოვის შეხვედრა ქართული საზოგადოების მოწინავე წარმომადგენლებთან, განხილულია საქართველოსთან დაკავშირებული ნაწარმოებები.

თურქეთის მშრომელთა გაჭირვებული მდგომარეობა

საერთაშორისო თემაზე

როცა თურქეთის მშრომელთა მდგომარეობაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს უწინარეს ყოვლისა თურქეთის სოფელი, რადგან ამ ქვეყნის მთელი მოსახლეობის ოთხი მეხუთედი (82 პროცენტი) გლეხობაა.

თურქეთს ახასიათებს აღმოსავლეთის კოლონიური და ნახევრადკოლონიური ქვეყნების სოფლის მეურნეობის ყველა ნიშანი — ფეოდალური მიწათმფლობელობა, ჩამორჩენილი, პრიმიტიული ტექნიკა, გლეხთა უკიდურესი სიღატაკე და უმიწობა, გადასახადთა საშინელი უღელი და მემამულეთა თვითნებობა. მთელი სახნავ-სათესი მიწის დაახლოებით ორი მესამედი მემამულეებს ეკუთვნით. გლეხთა უდიდეს უმრავლესობას (12 მილიონს) ან სრულიად არ გააჩნია მიწა, ანდა სრულებით არ ჰყოფნის იმისათვის, რომ ოჯახი არჩინოს. გლეხები იძულებული არიან მიწას მცირე ნაკვეთები ეჯარით აიღონ ნემამულეებისაგან კაბალურ პირობებში, იმუშაონ მოჯამაგირეებად. ფეოდალური მიწათმფლობელობა თურქეთის სოფლის გაღატაკების თუმცა უთუოდ მთავარი მიზეზია. მაგრამ ერთადერთი მიზეზი როდია. თურქეთის უზარმაზარი სამხედრო ხარჯები მძიმე ტვირთად აწვება გლეხებს მუდმივად მზარდი გადასახადების სახით.

თურქეთის გაზეთი „ულუსი“ ამას წინათ ჩიოდა იმის გამო, რომ ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის ხელმძღვანელები თურქეთს აკისრებენ უზომო სამხედრო ხარჯებს, სრულიად არ უწევენ ანგარიშს იმას, თუ რა გავლენას მოახდენს ეს თურქეთის ეკონომიკაზე და თურქი ხალხის მდგომარეობაზე.

ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის 60 დივიზიიდან, წერდა აღნიშნული გაზეთი, თურქეთი მოვალეა გამოიყვანოს 21 დივიზია, საბერძნეთმა უნდა გამოიყვანოს 10 დივიზია, ბლოკის მონაწილე დანარჩენმა თორმეტმა ქვეყანამ კი, მათ შორის ინგლისმა, საფრანგეთმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა — 29 დივიზია. ამასთან, აღნიშნავდა გაზეთი, „მხედველობაში არ არის მიღებული... ცხოვრების დონე ჩვენი სოფლებისა, რომელთა უმრავლესობა, შეიძლება ითქვას, ქვის ხანის პირობებში ცხოვრობს“.

მართალია, ამ უკანასკნელ ხანს თურქეთის ზოგიერთი გაზეთი იკვეხნის თურქეთის სოფლის მეურნეობის ვითომდა „წარმატებებს“ ისინი წერენ, რომ თურქეთიდან საზღვარგარეთ ხორბლის გატანა დიდდება და 1953 წელს 3 მილიონ ტონას მიაღწევს. ისინი აგრეთვე აღნიშნავენ, რომ ამ უკანასკნელ წლებში საზღვარგარეთიდან თურქეთში შეიტანეს რამდენიმე ათასი ტრაქტორი. მაგრამ ნამდვილად ყოველივე ეს დაკავშირებულია თურქი გლეხების მდგომარეობის გაუარესებასთან და არა გაუმჯობესებასთან. ხორბლის ექსპორტის გადიდება გამოწვეულია იმით, რომ ცდილობენ შეამცირონ თურქეთის საგარეო ვაჭრობის უდიდესი დეფიციტი, ეს ექსპორტი კი ხორციელდება უმთავრესად თვით თურქეთში პურის მოხმარების შემცირების გზით. გლეხთა პარტიის დეპუტატმა ჯეზმი თურქმა მეჯლისში განაცხადა, რომ ახლა თურქეთის მმართველი წრეები მოქმედებენ ლოზუნგით: „თვითონ მოვიკლოთ, ხოლო საზღვარგარეთ გავიტანოთ!“, მაშინ როცა, მისი სიტყვით, თურქეთის გლეხთა უმრავლესობა შიმშილობს, „ხოლო 16 ათასი სოფელი (36 ათასი სოფლიდან) საერთოდ თვალით ვერ ხედავს პურს“.

რაც შეეხება ტრაქტორებს, ეს მანქანები, რა თქმა უნდა, შეაქვთ არა გლეხებისათვის, რომლებსაც რკინის გუთნის შეძენის საშუალებაც არ გააჩნიათ. მანქანებს ყიდულობენ მემამულენი, რომელნიც ცდილობენ შექმნან მსხვილი მეურნეობანი კაპიტალისტურ საფუძველზე. ამ მეურნეობათა შექმნის პროცესში კი მემამულენი მოიჯარე და მოღალე გლეხებს ართმევენ მიწებს, რასაც ისინი მრავალი თაობის მანძილზე ამუშავებდნენ.

გაჩანაგებული გლეხები ათასობით მიეშურებიან ქალაქებში ლუკმაპურის საძებრად, ზრდიან უმუშევართა უამისოდაც უზარმაზარ არმიას. ამრიგად, თურქეთში არის უამრავი ადამიანი, რომლებიც მზად არიან ყოველგვარი სამუშაო შეასრულონ ლუკმაპურისათვის. ეს კი მრეწველებს უადვილებს ფართო შეტევა განახორციელონ თურქეთის მუშათა კლასის წინააღმდეგ.

თურქეთის მშრომელთა ცხოვრების დონე სისტემატურად ქვეითდება. მაშინ როცა ნომინალური ხელფასის დონე უცვლელი რჩება, ფასები განუწყვეტლივ მატულობს. ივნისის დამლევს გაზეთმა „დიუნიამ“ გამოაქვეყნა ციფრობრივი მონაცემები, რომლებსაც შეიცავს სტამბოლის გუბერნატორის ოფიციალური მოხსენება თურქეთის მთავრობისადმი. 1950 წლიდან 1953 წლამდე სურსათის ფასები 60-100 პროცენტით გადიდდა. თურქეთის გაზეთების გამოანგარიშებით, ცხოვრების საერთო ღირებულება 1950 წლის მაისიდან 1953 წლის მაისამდე გადიდდა 220 პროცენტით.

თურქეთში განუწყვეტლივ ძლიერდება მუშათა ექსპლოატაცია. მეპატრონეები დაუსრულებლად ზრდიან სამუშაო დღეს. მშრომელთა საშინელი უბედურებაა უმუშევრობა.

აი რას გვიამბობენ თვითონ თურქი მუშები თავიანთ მდგომარეობაზე. 1953 წლის ივნისში გაზეთმა „ულუსმა“ გამოაქვეყნა რამდენიმე მუშის განცხადებანი. ამ მუშების მდგომარეობა გაზეთს ტიპიურად მიაჩნია თურქეთისათვის. „მეპატრონეები, — ამბობს ერთ-ერთი მუშა, — დღეში 12-14 და 16 საათსაც კი გვამუშავებენ. ჩვენ იძულებული ვართ დავმორჩილდეთ... წინააღმდეგ შემთხვევაში საფრთხე მოგველის, რომ სამუშაოს დავკარგავთ და ულუკმაპუროდ დავრჩებით. ახლანდელი სიძვირის პირობებში ჩვენ ვშრომობთ ერთი პეშვი ლობიოსათვის, რათა შვილები ვიხსნათ შიმშილისაგან“.

თურქეთის მუშებს და ქალაქის მთელ ღარიბ მოსახლეობას ახალი უბედურება დაატყდა თავს იმით, რომ მეჯლისმა 1953 წლის 4 მაისს მიიღო ახალი გადაწყვეტილება შენობების იჯარის შესახებ. ამ გადაწყვეტილებით ბინის ქირა უკვე გადიდდა 50 პროცენტით, ხოლო 1954 წლის 1 იანვრიდან გადიდდება კიდევ 50 პროცენტით. ამრიგად, ათასობით ღარიბი — მუშა, წვრილი მოსამსახურე და უმუშევარი უსახლკაროდ აღმოჩნდა. ქალაქთა გარშემო წარმოიშვა უბადრუკი ქოხმახების მთელი უბნები. ძველი ყუთებით, დაჟანგული თუნუქით, მუყაოთი და მშენებლობის ყოველგვარი ნაგვით აშენებულ ამ უბადრუკ ქოხმახებს თურქები უწოდებენ „გეჯეკონდუს“ — „ერთ ღამეში წარმოშობილს“.

აგრესიულ ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკსა და აგრესიულ „ბალკანეთის კავშირში“ თურქეთის მონაწილეობა დაკავშირებულია უდიდეს სამხედრო ხარჯებთან სამხედრო ბაზების მშენებლობისათვის, დიდი არმიის შენახვისა და შეიარაღებისათვის. პირდაპირმა და არაპირდაპირმა სამხედრო ხარჯებმა წელს (მათ შორის ხარჯებმა ამერიკის „დახმარების“ სახსრებიდან) კოლოსალურ თანხას — 1.800 მილიონ თურქულ ლირას მიაღწია, მაშინ როცა სახელმწიფო ბიუჯეტის საერთო თანხა 2.123 მილიონ ლირას შეადგენს.

სამხედრო მიზნებისადმი ეროვნული ეკონომიკის დაქვემდებარება იწვევს ქალაქისა და სოფლის მშრომელთა მდგომარეობის მკვეთრ გაუარესებას. სამხედრო ხარჯების დასაფარავად ხალხს ახდევინებენ გამაჩანაგებელ გადასახადებს, სისტემატურად მცირდება ისედაც სრულიად უმნიშვნელო ასიგნობანი სოციალური უზრუნველყოფისათვის, ჯანმრთელობის დაცვისა და განათლებისათვის. მილიტარიზაცია ძირს უთხრის თურქეთის ფინანსებს, იწვევს თურქული ლირის გაუფასურებას და სიძვირის ზრდას. მილიტარიზაციის შედეგად ირყევა მთელი ეკონომიკა და იკვეცება მრეწველობის სამოქალაქო დარგები, იზრდება უმუშევრობა. მილიტარიზაცია და ამერიკის სამხედრო „დახმარება“ იწვევს თურქეთის ეკონომიურ დაკაბალებას, თურქი გლეხების და მუშების ექსპლოატაციის გაძლიერებას ამერიკის კაპიტალის მიერ.

აი რამდენიმე მონაცემი, რომელიც გვიჩვენებს თურქეთის ეკონომიკისა და სახელმწიფო ფინანსების კრიზისულ მდგომარეობას. თურქეთის სახელმწიფო ვალი 1951 წლის თებერვალთან შედარებით 136 მილიონი ლირით გადიდდა და მიაღწია თანხას, რომელიც მნიშვნელოვნად აღემატება ამ სახელმწიფოს წლიურ ბიუჯეტს. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი მთავრობის წინასწარი გამოანგარიშებით 1953 წელს 163,5 მილიონ ლირას მიაღწევს. საგარეო ვაჭრობის დეფიციტი გასულ წელს აღწევდა 540 მილიონ ლირას. ამიტომ თურქეთის ოქროს მარაგი სწრაფად დნება. თუ 1946 წელს, ე. ი. ამერიკის „დახმარებამდე“, ოქროს მარაგი აღემატებოდა 236 ტონას, ახლა იგი ერთიორად შემცირდა. ამავე დროს საემისიო ბანკი განაგრძობს ქაღალდის ლირების გამოშვებას, რაც არაფრით არ არის უზრუნველყოფილი. თურქეთის ფულის მყიდველობითი უნარი სწრაფად მცირდება.

დაქვეითებას განიცდის თურქეთის სუსტი მრეწველობა, რომელიც მოკლებულია კრედიტებს და რომელსაც საშინაო ბ

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-8 სესია

სპეციალურ პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 8 ოქტომბერი. (საკდესი). სპეციალური პოლიტიკური კომიტეტის 6 ოქტომბრის დღის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღების საკითხზე.

პირველი გამოვიდა შვეიცის წარმომადგენელი რ. სანდლერი, რომელმაც აღნიშნა, რომ სპეციალური კომიტეტის მოხსენება ახალი წევრების მიღების შესახებ არავითარ რეკომენდაციას არ შეიცავს და, ამრიგად, კომიტეტს ხელი არ შეუწყვია საკითხის გადაჭრისათვის. შვეიცის დელეგაცია ხმას მისცემს, განაცხადა შვეიცის წარმომადგენელმა, საბჭოთა კავშირის დელეგაციის წინადადებას იმ 14 სახელმწიფოს ერთდროულად მიღების შესახებ, რომლებმაც განცხადებები შემოიტანეს. შვეიცის დელეგაცია, განაგრძო სანდლერმა, საბჭოთა რეზოლუციის პროექტს განიხილავს „როგორც სერიოზულ ცდას — მიღწეულ იქნას კომპრომისი". საბჭოთა პროექტი გვიჩვენებს მომავალში ახალი წევრების მიღების საკითხის გადაჭრის გზას. ამასთან ერთად რ. სანდლერმა მხარი დაუჭირა პერუს რეზოლუციის პროექტს ეგრეთწოდებული „კეთილი სამსახურის კომიტეტის" შექმნის შესახებ. მან განაცხადა, რომ მხარი უნდა დაუჭიროთ ყოველ ღონისძიებას, რომლის მიზანი ის არის, რომ ხელი შეეწყოთ უშიშროების საბჭოს ხუთ მუდმივ წევრს — გადადგან ნაბიჯი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღების საკითხის გადაჭრისაკენ.

ლიბანის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ახალი წევრების მიღების საკითხის გადაჭრისას საჭიროა ზუსტად დაცულ იქნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება. წესდება ითვალისწინებს, რომ საჭიროა უშიშროების საბჭოს დადებითი რეკომენდაცია, ამასთან, განაგრძო ლიბანის წარმომადგენელმა, ასეთი რეკომენდაცია მოითხოვს უშიშროების საბჭოს ხუთივე მუდმივი წევრის ერთხმივობას.

ახალი ზელანდიის, კუბის, კანადისა და ნიდერლანდის წარმომადგენლებმაც მხარი დაუჭირეს პერუს რეზოლუციის პროექტს „კეთილი სამსახურის კომიტეტის" შექმნის შესახებ. მიემხრო რა პერუს პროექტს, ახალი ზელანდიის დელეგატმა განაცხადა, რომ, მისი აზრით, ახალი წევრების მიღების შესახებ შეთანხმების მიღწევის საუკეთესო შესაძლებლობა უნდა ვეძიოთ დაინტერესებული სახელმწიფოების უშუალო მოლაპარაკებში. ახალი ზელანდიის წარმომადგენელმა გაილაშქრა სსრ კავშირის დელეგაციის მიერ შეტანილი რეზოლუციის პროექტის წინააღმდეგ.

არგენტინისა და კუბის წარმომადგენლების სიტყვები მიეძღვნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღების საკითხის გადაჭრისას უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრთა ერთხმივობის, პრინციპისათვის გვერდის ასავლელი გზების ძებნას.

სხდომაზე გამოვიდა უკრაინის სსრ წარმომადგენელი პალამარჩუკი, რომელმაც მხარი დაუჭირა სსრ კავშირის დელეგაციის მიერ შეტანილ რეზოლუციის პროექტს. „ახლა, როცა ხალხთა შორის კვლავ ჩაისახა საერთაშორისო ვითარების გაუმჯობესების იმედი, — განაცხადა უკრაინის წარმომადგენელმა, — გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში 14 სახელმწიფოს ერთდროულად მიღება დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნებოდა საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გზაზე, იგი იქნებოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ავტორიტეტისა და პრესტიჟის ამაღლების ღონისძიება, ორგანიზაციისა, რომელიც ამჟამად სერიოზულ კრიზისს განიცდის". „მაგრამ, — განაგრძო უკრაინის სსრ წარმომადგენელმა, — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კარი წინანდებურად დახურულია მთელი რიგი სახელმწიფოებისათვის. იმის მიზეზი, რომ 14 სახელმწიფო, რომლებმაც უკვე დიდი ხანია შემოიტანეს განცხადებები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად მიღების შესახებ, დღემდე ორგანიზაციაში არ იმყოფება, სხვა არა არის რა, თუ არა ფავორიტიზმის პოლიტიკა, რასაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ზოგიერთი წევრი სახელმწიფო ახორციელებს ზოგიერთი სახელმწიფოს მიმართ, და დისკრიმინაციის პოლიტიკა — სხვა სახელმწიფოთა მიმართ. ობიექტური და მიუკერძოებელი მიდგომის ნაცვლად, ისინი მფარველობას უწევენ სახელმწიფოთა ერთი ჯგუფის მიღებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად და ეწინააღმდეგებიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მეორე ჯგუფის, სახელდობრ: რუმინეთის, უნგრეთის, ბულგარეთის, ალბანეთის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მიღებას. ახალი წევრების მიღებაში შექმნილი ჩიხიდან გამისავალი გზა შეიძლება ვიპოვნოთ, თუ ფავორიტიზმისა და დისკრიმინაციის პოლიტიკის მომხრენი იხელმძღვანელებენ არა ამ პოლიტიკით, არამედ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით.

უკრაინის სსრ დელეგაციას მიაჩნია, რომ შექმნილი ჩიხის გადალახვის რეალური საფუძველია საბჭოთა კავშირის წინადადება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებად 14 სახელმწიფოს ერთდროულად მიღების შესახებ, რომლებმაც უკვე დიდი ხანია შემოიტანეს განცხადებანი მიღების შესახებ".

პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 8 ოქტომბერი. (საკდესი). 7 ოქტომბერს პოლიტიკური კომიტეტი, ერთი კვირის შესვენების შემდეგ, შეუდგა მაროკოს საკითხის განხილვას.

გახსნა სხდომა, კომიტეტის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მაროკოსა და ტუნისის საკითხებს „საერთო ასპექტები" აქვთ და ამიტომ, თუმცა ეს საკითხები ცალცალკე დგას დღის წესრიგში, იგი წინააღმდეგი არ იქნება, თუ კამათის დროს დელეგატები ორივე საკითხს შეეხებიან.

შემდეგ კომიტეტის მდივანმა გამოაქვეყნა წერილი საფრანგეთის დელეგაციისა, რომელიც აცხადებს, რომ იგი არ დაესწრება მაროკოსა და ტუნისის საკითხთა განხილვას, რადგან ასეთი განხილვა მას საფრანგეთის საშინაო საქმეებში ჩარევად მიაჩნია.

კამათი დაიწყო პაკისტანის წარმომადგენლის გამოსვლით. მან განაცხადა, რომ საფრანგეთმა არ შეასრულა გენერალური ასამბლეის VII სესიაზე მაროკოს საკითხის გამო მიღებული რეკომენდაციები და რომ საფრანგეთის ხელისუფალთა უკანასკნელმა მოქმედებამ კიდევ უფრო გაართულა მდგომარეობა მაროკოში. ნაცვლად იმისა, რომ ხელი შეუწყოს ძირითად თავისუფლებათა განვითარებას მაროკოში, როგორც ამას ითვალისწინებს ასამბლეის წარსული სესიაზე მიღებული რეზოლუცია, საფრანგეთმა ჩამოაგდო სულთანი და მის ადგილას დასვა თავისი კაცი. პაკისტანის წარმომადგენელმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ ფრანგი კოლონიზატორები ანგარებითს პოლიტიკას ეწევიან მაროკოში. მაროკოში, განაცხადა მან, კანონი მხოლოდ მაშინ არის კანონი, როცა იგი კოლონიზატორთა ინტერესებს შეესაბამება. პაკისტანის წარმომადგენელმა აღნიშნა სრული უსაფუძვლობა საფრანგეთის მხარის მტკიცებისა, თითქოს მაროკო თვითმმართველობისათვის მზად არ იყოს. პაკისტანის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მისი დელეგაციის აზრით, მრგვალი მაგიდის კონფერენციამ, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საფრანგეთისა და მაროკოს ყველა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები, შეიძლება ხელი შეუწყოს იმას, რომ მაროკოსათვის გამოინახოს დამოუკიდებლობის რაც შეიძლება მალე მიღების გზა. ამასთან მან დასძინა, რომ, თუ საფრანგეთის ხელისუფლები შეწყვეტენ მაროკოს დამოუკიდებლობის მომხრეთა დევნას იგრეთვე გაათავისუფლებენ პოლიტიკურ პატიმრებს, ეს ხელს შეუწყობს ასეთი კონფერენციის მოწვევისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას. თავისი სიტყვის დასასრულს პაკისტანის წარმომადგენელმა შეიტანა წინადადება, რომ პოლიტიკური კომიტეტის სახელით მოუწოდონ საფრანგეთის დელეგაციას — მონაწილეობა მიიღოს მაროკოს საკითხის განხილვაში.

ლიბანის წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა პაკისტანის დელეგაციის ამ წინადადებას და ითხოვა, რომ პოლიტიკურ კომიტეტს კენჭი ეყარა ამ წინადადებისათვის.

ინგლისის წარმომადგენელმა ჯებმა წინადადება შეიტანა შემდეგ სხდომამდე გადაედოთ პაკისტანის წინადადებისათვის კენჭისყრა.

კომიტეტის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხს, პაკისტანის წინადადებისათვის 7 ოქტომბერს ეყარათ კენჭი, თუ 8 ოქტომბრამდე გადაედოთ იგი. 21 ქვეყნის დელეგაციებმა, მათ შორის სსრ კავშირის, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის დელეგაციებმა ხმა მისცეს იმას, რომ პაკისტანის წინადადებისათვის კენჭისყრა მომხდარიყო 7 ოქტომბრის სხდომაზე. 22 ქვეყნის, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წარმომადგენლებმა ამის წინააღმდეგ მისცეს ხმა.

კორეის ნეიტრალიზებულ ზონაში პროვოკაციების წინააღმდეგ

ინდოეთის მთავრობის მტკიცე პროტესტი

დელი, 8 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ჰინდუსტან ტაიმსის" სპეციალური კორესპონდენტი იუწყება, ინდოეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ინდოეთის მთავრობა არ აპირებს მოხსნას თავის წარმომადგენელს პასუხისმგებლობა ნეიტრალურ სახელმწიფოთა წარმომადგენლებისაგან შემდგარი სარეპატრიაციო კომისიის თავმჯდომარის ფუნქციების შესრულებისათვის. მაგრამ, აღნიშნა წარმომადგენელმა, ინდოეთის მთავრობა მთელი სერიოზულობით ეპყრობა ინდოეთის ჯარებზე სამხრეთ კორეის შეიარაღებული ძალების თავდასხმის საფრთხეს.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ თუ ასეთი თავდასხმა ინდოეთის ჯარებზე განხორციელდა, მთელი პასუხისმგებლობა ამ საქმისათვის დაეკისრება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების სარდლობას.

კალკუტის გაზეთი „ბასუმატი" სარედაქციო სტატიაში წერს: „ახლა სავსებით ცხადია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს არა სურთ შეასძლებლობა მისცენ ნეიტრალურ სახელმწიფოთა წარმომადგენლებისაგან შემდგარ სარეპატრიაციო კომისიას შეასრულოს თავისი მოვალეობანი".

ლონდონი, 8 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი დელიდან იუწყება, ინდოეთის მთავრობა უფრო შეშფოთებულია ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციით, ვიდრე სამხრეთ კორეის შეიარაღებული ჩარევის მუქარით. ერთმა მაღალი თანამდებობის პირმა განაცხადა: „ინდოეთი მოელოდა ასეთ მოქმედებას სამხრეთ კორეისაგან, მაგრამ არ მოელოდა იმას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯონ ფოსტერ დალესი ეტყვს გამოთქვამდა კომისიის მუშაობას შესახებ. ჩვენ ვერ ვხედავთ გამართლებას მისი იმ განცხადებისათვის, რომ იგი მთლად როდი კმაყოფილი კომისიით".

გაიხსნა ინგლისის კონსერვატიული პარტიის კონფერენცია

მარგეტი, 8 ოქტომბერი. (საკდესის სპეც. კორ.). 8 ოქტომბერს მარგეტში გაიხსნა ინგლისის კონსერვატიული პარტიის 73-ე ყოველწლიური კონფერენცია.

საერთაშორისო საჭადრაკო ჟურნირი შვეიცარიაში

ციურიხი, 9 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ, 8 ოქტომბერს, გაიმართა მსოფლიო პირველობას პრეტენდენტთა საჭადრაკო ტურნირის დაუმთავრებელი პარტიების გათამაშება.

გელერი, დარწმუნდა რა შემდგომი წინააღმდეგობის უიმედობაში, თამაშის განუახლებლად დანებდა კოტოვს, ხოლო შტალბერგი — კერესს, ყაიმზე შეთანხმდნენ გლიგორიჩი და ავერბახი.

დიდი ინტერესი გამოიწვია ბრონშტეინ — საბოს პარტიის გათამაშებამ. იგი შეწყვეტილი იყო ისეთ მდგომარეობაში, სადაც პოზიციური უპირატესობა ბრონშტეინს ჰქონდა, მაგრამ საბოს ზედმეტი პაიკი ჰქონდა. საბჭოთა გროსმაისტერმა ოსტატური მანევრირებით აიძულა მოწინააღმდეგე დაეთმო განაპირა პაიკი, რის შემდეგაც ბრონშტეინს შეექმნა საშიში ალი ელო პაიკი ლაზიერის ფლანგზე, რამაც კიდევაც გადაწყვიტა პარტიის ბედი მის სასარგებლოდ.

ახლა დაუმთავრებელი დარჩა მხოლოდ საბო — გლიგორიჩის პარტია. უნგრელ გროსმაისტერს ზედმეტი პაიკი აქვს.

21 ტურის შემდეგ წინ არაან სმისლოვი და რეშევსკი, რომლებსაც აქვთ 12,5 ქულა თვითეულს ოც ნათამაშევ პარტიაში; ბრონშტეინს აქვს 12 ქულა, კერესს — 11,5 ქულა.

9 ოქტომბერი ტურნირზე გამოსასვლელი დღეა.

10 ოქტომბერს გაიმართება 22-ე ტური, რომელშიც თამაშობენ ნაიდორფ — ავერბახი, ტალმანოვ — საბო, გლიგორიჩ — ეივე, ბრონშტეინ — შტალბერგი, რეშევსკი — ბოლესლავსკი, კერეს — კოტოვი, სმისლოვ — გელერი. თამაშისაგან თავისუფალია პეტროსიანი.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრის ჯოუ ენ-ლაის განცხადება

პეკინი, 8 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალურმა სახალხო რადიოსადგურმა გადასცა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრის ჯოუ ენ-ლაის განცხადება ხუთი დიდი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის მოწვევის შესახებ იმ წინადადების მხარდასაჭერად, რომელსაც შეიცავს საბჭოთა მთავრობის ნოტა საფრანგეთის, ინგლისისა და შეერთებული შტატების მთავრობებისადმი. განცხადებაში ნათქვამია:

„1953 წლის 28 სექტემბერს საბჭოთა კავშირის მთავრობამ საფრანგეთის, ინგლისისა და შეერთებული შტატების მთავრობებს გაუგზავნა ნოტა, რომელიც შეიცავს წინადადებას მოწვეულ იქნას საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი შემდეგის გათვალისწინებით:

1) განხილულ იქნას საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირზე საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელების ღონისძიებანი; 2) განხილულ იქნას საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირზე გერმანიის საკითხი, ყველა იმ წინადადების ჩათვლით, რომლებიც წამოყენებულ იქნება თათბირის მომზადების მსვლელობაში.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის მიერ დაცალებული მაქვს გამოვთქვა ამ წინადადების სრული მოწონება.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალურ სახალხო მთავრობას მიაჩნია, რომ კორეაში დაზავებამ ხელსაყრელი პირობები შექმნა საერთაშორისო დაძაბულობის შენელების უზრუნველსაყოფად და დაამტკიცა, რომ ყველა საერთაშორისო დავის გადაჭრა შეიძლება მიღწეულ იქნას მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით. ამჟამად გადაუდებელი ამოცანებია ის, რომ უზრუნველსაყოფილ იქნას კორეაში დაზავების შესახებ შეთანხმების განუხრელად შესრულება, გადაჭრით თავიდან აცილებულ იქნას აგრესიული ომის განახლება, მოისპოს ყველა შეთქმულება, რომელთა მიზანია პოლიტიკური კონფერენციის ობსტრუქცია და ჩაფუშვა, და ხელი შეეწყოს პოლიტიკური კონფერენციის მალე მოწვევას ნეიტრალური ქვეყნების მონაწილეობით, რათა მოლაპარაკების გზით გადაიჭრას უცხოეთის მთელი ჯარების გაყვანის, კორეის პრობლემის მშვიდობიანი მოწესრიგების საკითხები და სხვა საკითხები.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობას მიაჩნია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია უნდა გახდეს ორგანიზაცია, რომელიც იცავს მშვიდობას მთელ მსოფლიოში და საერთაშორისო უშიშროებას, იგი არ უნდა გადაიქცეს შეერთებული შტატების აგრესიის ინსტრუმენტად. ხედავს რა, რომ ჩინელმა ხალხმა აირჩია სახალხო დემოკრატიის სისტემა — სისტემა, რომელიც შეესაბამება ჩინელი ხალხის ინტერესებს, მაგრამ არ შეესაბამება ვაშინგტონელ ხელისუფალთა გემოვნებას, — შეერთებული შტატების მთავრობა ხელს უშლის იმას, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ მიიღოს თავისი კანონიერი ადგილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. მაგრამ თუ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ არ მიიღო მონაწილეობა, შეუძლებელია დაიჭრას ბევრი დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო საკითხი და, უწინარეს ყოვლისა, საკითხები, რომლებიც ეხება ამიტომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა ნამდვილად ეფექტიანად რომ ასრულებდეს თავის მოვალეობას მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში, მისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს უწინარეს ყოვლისა იმას, რომ აღუდგინოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას მისი კანონიერი უფლებები გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობა თანმიმდევრულად იცავს ყველა საერთაშორისო სადავო საკითხის მოლაპარაკების გზით გადაჭრის სამშვიდობო პოლიტიკას და სხვადასხვა სისტემის მქონე სახელმწიფოების მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას; იგი მუდამ ესწრაფვის საერთაშორისო დაძაბულობის საერთო შენელების იმისათვის, რომ განმტკიცდეს მშვიდობა შორეულ აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობა სავსებით იწონებს საბჭოთა კავშირის მთავრობის წინადადებას ხუთი დიდი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის მოწვევის შესახებ, რამდენადაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ხუთ დიდ სახელმწიფოს — საფრანგეთს, ინგლისს, ამერიკის შეერთებულ შტატებს, საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას — ეკისრებათ განსაკუთრებით დიდი პასუხისმგებლობა მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების დიდმნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრისათვის. ამიტომ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის მოწვევა შეესაბამება მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ადამიანთა მისწრაფებას".

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება

ფხენიანი, 8 ოქტომბერი. (საკდესი). კორეის ცენტრალური დეპეშათა სააგენტო აქვეყნებს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებას. ეს დადგენილება იწონებს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის მუშაობას, რომელიც საბჭოთა კავშირის ეწვია.

მოლაპარაკებას, რომელიც 11-დან 19 სექტემბრამდე მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირის დედაქალაქ მოსკოვში, ნათქვამია დადგენილებაში, დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარებისათვის. მოლაპარაკების მსვლელობაში განხილულ იქნა საკითხები, რომლებიც შეეხება კორეისა და სსრ კავშირის მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განვითარებას, კორეის პრობლემის მშვიდობიან გადაჭრასა და საბჭოთა კავშირის მიერ კორეისათვის დახმარების გაწევას ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ომისშემდგომ აღდგენასა და მშენებლობაში.

საკმაებით იწონებს და მიესალმება რა ამ მოლაპარაკების შედეგებს, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი უსაზღვრო მადლობას უძღვნის საბჭოთა მთავრობასა და საბჭოთა ხალხს იმ ზრუნვისა და ყურადღებისათვის, რაც საბჭოთა მთავრობამ გაუწია კორეელ ხალხს. ახლანდელი მოლაპარაკების შედეგები განამტკიცებენ და უფრო მალელ საფეხურზე აიყვანენ კორეისა და სსრ კავშირის მეგობრულ ურთიერთობას და უდიდეს წვლილს შეიტანენ კორეის საკითხის მშვიდობიან გადაჭრაში, აზიისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში. ეს შედეგები იმით დაგვიდგა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის სწრაფი აღდგენისა და განვითარების და ჩვენი ხალხის მატერიალური და კულტურული ცხოვრების გაუმჯობესების დიდმნიშვნელოვანი საწინდარია. ასეთი უდიდესი დახმარება, რასაც საბჭოთა მთავრობა გვიწევს, ერთხელ კიდევ ცხადყოფს, რომ დიდი საბჭოთა კავშირი არის არა მარტო განმათავისუფლებელი ჩვენი ხალხისა, არამედ აგრეთვე მისი ნამდვილი და საუკეთესო მეგობარი, ერთხელ კიდევ ცხადყოფს, რომ სამართლიანია საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა, რომელიც დიდი და მცირე ხალხების ურთიერთთანამშრომლობასა და მეგობრობას, თანასწორობისა და მათი სუვერენიტეტის პატივისცემის პრინციპს ემყარება.

მთელი კორეელი ხალხი კიდევ უფრო განამტკიცებს მეგობრულ ურთიერთობას საბჭოთა ხალხთან, რაც ყველა ჩვენი გამარჯვების დიდმნიშვნელოვანი საწინდარია, მთელ თავის შემოქმედებითს შრომასა და მთელ თავის ძალღონეს მოახმარს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ომისშემდგომი აღდგენისა და მშენებლობის საქმეს, სამშობლოს მშვიდობიანი გაერთიანებისა და დამოუკიდებლობის მიღწევის საქმეს, შორეულ აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნების საქმეს და ამით მადლობას გადაუხდის საბჭოთა კავშირს მისი უდიდესი დახმარებისათვის.

ზაფხულის დასვენების შემდეგ

1 ოქტომბერს ზაფხულის-შვებულების შემდეგ თბილისში აუმჯობესებს მუშაობას სასკოლო ბაღები. ქალაქში არსებობს სამაგვარ 112 ბაღი, მათ შორის სარეზერვო-ინვალიდების და სხვა დწყებებისა 52. მათში 9.000-ზე მეტი ბავშვი ბრიგადა.

ბაღი ამისა, არსებობს ორი სანატორიული ტიპის სამაგვარ ბაღი.

ყველაზე პაწია ბავშვებისათვის გახსნილია 46 სამაგვარ ბაგა, სადაც მზრუნველობით უვლიან 2.700-მდე ბავშვს. ქალაქის ისეთი დიდი საწარმოების სამაგვარ ბაგებში, როგორიც არის აბრეშუმსაქმისა, მაუდ-კამოლის ფაბრიკები, კაროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხანა, ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველო და სხვ. მოწყობილია სადღეღამისო ჯგუფები, სადაც ბავშვები ორშაბათიდან შაბათამდე რჩებიან.

ოქროული და ვერცხლეული

მოსახლეობაში დიდი მოთხოვნილებაა ოქროსა და ვერცხლის ნაწარმზე. „იუველირტორგის" თბილისის მაღაზიებში იყიდება დიდძალი ვერცხლის საოჯახო ნივთები — ჩაიდენები და ყავადნები, სურები, სარძეველები, საშაქრეები, ლანგრები, ჭიქები, სხვადასხვა ზომის კოვზები, აგრეთვე ბრილიანტით, ალმასითა და სხვა ძვირფასი ქვებით მოკუდილი ოქროს ნივთები.

თბილისში მუშაობს ოთხი საიუველირო მაღაზია. ასეთივე მაღაზიები გახსნილია რესპუბლიკის მთელ რიგ სხვა ქალაქებშიც. ისინი ძვირფას ნაწარმს იღებენ მოსკოვის, ლენინგრადის, ხარკოვის, კიევის, თბილისისა და სხვა საიუველირო ფაბრიკებიდან.

საქართველოს უძლიერეს მძლეოსანთა ასპარეზობა

8 ოქტომბერს თბილისის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა ჩვენი რესპუბლიკის უძლიერეს მძლეოსანთა შეჯიბრება საქართველოს 1953 წლის პირად პირველობაზე. ამ დღეს ჩატარდა შეხვედრები სხვადასხვა მანძილზე რბენაში, სიმაღლეზე ხტომაში, ბირთვის კვრაში, შუბის ტყორცნაში.

რესპუბლიკურ ჩემპიონატში მაღალი სასპორტო შედეგი მოიპოვა ვ. ვაშაკიძემ, რომელმაც 3.000 მეტრი გაიირბინა 8 წუთსა და 54 წამში და საქართველოს ახალი რეკორდი დამყარა. ვ. ვაშაკიძეს მიეკუთვნა ჩემპიონის წოდება.

საქართველოს ჩემპიონის წოდება მოიპოვეს აგრეთვე შუბის ტყორცნაში ვაჟთათვის — ვ. შმაკოვმა (61 მეტრი და 25 სანტიმეტრი), სიმაღლეზე ხტომაში ქალთათვის — გ. პავლოვამ (150 სანტიმეტრი), ბირთვის კვრაში ქალთათვის — ლ. სესაძემ (12 მეტრი და 10 სანტიმეტრი), სიმაღლეზე ხტომაში ვაჟთათვის — ო. მამონოვმა (180 სანტიმეტრი), 100 მეტრზე რბენაში ქალთათვის — ნ. სუვერნიოვამ (13,4 წამი), 110 მეტრზე თარჯრბენაში ვაჟთათვის — ს. ქავთარაძემ (16,28 წამი), 5.000 მეტრზე რბენაში ვაჟთათვის — ფ. სალომოვმა (15 წუთი და 28,6 წამი), 800 მეტრზე რბენაში ვაჟთათვის — ი. ვოლობუევმა (1 წუთი და 58,7 წამი), 800 მეტრზე რბენაში ქალთათვის — გ. ბრიტვინამ (2 წუთი და 25,4 წამი), 100 მეტრზე რბენაში ვაჟთათვის — რ. ტრაპაიძემ (11,2 წამი).

სსრ კავშირის გუნდური პირველობა ჩოგბურთში

საბჭოთა კავშირის 1953 წლის გუნდური პირველობის გათამაშება ჩოგბურთში დასასრულს ეკუთვნოდა. 8 ოქტომბერს გაიმართა მორიგი შეხვედრები.

დიდი ინტერესი გამოიწვია მოსკოვისა და ლენინგრადის „დინამოს" გუნდების ნახევარფინალურმა ასპარეზობამ. შეჯიბრება დამთავრდა მოსკოველ სპორტსმენთა გამარჯვებით ანგარიშით 7 : 6. ამრიგად, მოსკოვის „დინამოს" ჩოგბურთელთა კოლექტივი გავიდა ფინალში.

საქართველოს პირველი გუნდი, რომელიც მეხუთე ადგილისათვის ებრძოდა, 8 ოქტომბერს შეხვდა რსფსრ რესპუბლიკის ჩოგბურთელებს. გაიმარჯვა საქართველოს გუნდმა ანგარიშით 7 : 6. ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობის გუნდმა დაამარცხა ლენინგრადის „სპარტაკი" 7 : 3; სომხეთის ჩოგბურთელებმა მოუგეს უზბეკეთის გუნდს 7 : 6, ლატვის ჩოგბურთელთა კოლექტივმა — უკრაინის მეორე გუნდს ანგარიშით 7 : 5.

რედაქტორი დ. მჟედლიშვილი.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

10 ოქტომბერს	პ. ჩაიკოვსკი—პიკის ძალი
11 ოქტომბერს	დღის 12 საათზე დ. როსინი—სევილიელი დალაძი საღამოს ჯ. რიმსკი-კორსაკოვი — მეფის საცოლე (ტ. ი. ლუკიანოვის მონაწილეობით).

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

თბილისის სახელმწიფო ცირკი

დღეს დიდი საცირკო წარმოდგენა 3 განყოფილებად

მონაწილეობენ ჩინეთის და კორეის მსახიობები. აგრეთვე საბჭოთა ცირკის წამყვანი ოსტატები

დიდი პარადი-პროლოგი

„ხალხთა მეგობრობა"

დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

კვირას, 11 ოქტომბერს, დღის 2 საბავშვო წარმოდგენა. დასაწყისი 1—12 ს., 11—3 ს. ბილეთები იყიდება საბელმწიფო ცირკის სალაროებში. ბილეთები შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე.

ბავშვები 16 წლამდე საღამოს წარმოდგენაზე არ დაიშვებიან.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის სამმართველო აცხადებს, რომ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის სამმართველოს სახელმწიფო ავტოინსპექცია 1953 წ. 10 ოქტომბრიდან 10 დეკემბრამდე საქართველოს სსრ რესპუბლიკაში აწყობს მთელი ავტომოტოტრანსპორტის, რეზინის შინებიანი ტრაქტორებისა და ავტომისაბმელების წლიურ ტექნიკურ დათვალიერებას.

ავტომეურნეობათა ხელმძღვანელები და ავტომანქანების ინდივიდუალური მფლობელები მოვალენი არიან დაუყოვნებლივ შეუდგნენ ავტომოტოტრანსპორტის მომზადებას ტექნიკური დათვალიერებისათვის.

ავტომოტოტრანსპორტი ტექნიკურად წესიერ მდგომარეობაში და შეღებილი უნდა იყოს, სატვირთო მანქანებს სმ გვერდზე უნდა ჰქონდეთ მათთვის მიკუთვნებული სახელმწიფო ნომრის ნიშნები სტანდარტული ზომისა (სიმაღლე 30 სმ, სიგანე 12 სმ და შტრიხის სისქე 3 სმ).

ტექნიკურ დათვალიერებაზე სახელმწიფო ავტოინსპექტორს უნდა წარედგინოს:

1. ავტომოტომანქანის ტექნიკური პასპორტი, რომელშიც შევსებული უნდა იყოს VI და VII განყოფილებათა სვეტები შესრულებული რემონტის, შეცვლილი აგრეგატებისა და ვაგლილი კილომეტრაჟის შესახებ. 2. სახელმწიფო ბანკის ქვითარი თვითეული ავტომანქანისა და რეზინის შინებიანი ტრაქტორისათვის 15 მანეთის, მოტოციკლისა და ავტომისაბმელისათვის 10 მანეთის გადახდის შესახებ (ფული შეტანილ უნდა იქნას სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშზე — კარი 12, § 7). 3. „ცნობები ავტომეურნეობის შესახებ" ტ. 1 ფორმით (ტ. 1 ფორმის ბლანკები მიღებულ უნდა იქნას რაიონულ სახელმწიფო ავტოინსპექტორებთან).

ტექნიკური დათვალიერება უნდა გაიაროს მთელმა ავტომოტოტრანსპორტმა, მიუხედავ-ად ძისი ტექნიკური მდგომარეობისა, რომელიც სახელმწიფო ავტოინსპექციის ორგანოებს საქართველოს სს რესპუბლიკაში აყვანილი ჰყავთ აღრიცხვაზე 1953 წლის 10 ოქტომბრამდე.

ქალაქ თბილისში ინდივიდუალური მფლობელნი და ავტომეურნეობანი, რომელთა ავტომანქანების რაოდენობა შეადგენს 3 ერთეულამდე ჩათვლით, ვალდებული არიან თავიანთი კუთვნილი ავტომოტოტრანსპორტი ზემოაღნიშნულ ვადებში წარადგინონ ტექნიკურ დათვალიერებაზე ქალაქ თბილისის მილიციის სამმართველოს სახელმწიფო ავტოინსპექციაში, სამოქალაქო ქ. № 1 (9-დან 16 საათამდე